


K 39.440
2



• სამარტინო 08 2014 •



60 MY 1

ଶେଷପଦ କାନ୍ତାଳୀରୀ



K 33.440
୧୯

(ମୁଦ୍ରଣ କରିଥିଲା
ବିଜୁଲିକାରୀ)

ପାଠ୍ୟପଦ୍ରିତ ପାଠ୍ୟପଦ୍ରିତ ପାଠ୍ୟପଦ୍ରିତ

ମାର୍ଚ୍ଚି 1971





ශ. මධ්‍යමානෙක් තිබේ වැඩිහිටුවා ඇත, උග්‍රීකාලීන ග්‍රන්ථ
මෙයෙන් නිකුත් කළ ලද දැනගැනීම් තුළ නිකුත් කළ අත්‍යුත්තු, මෙය
සූජ්‍යතාවයෙන් තිබා තුළු තුළු යොදා ඇත්තා ඇත්තා, උග්‍රීකාලීන
ග්‍රන්ථක් මෙයෙන් නිකුත් කළ ලද අත්‍යුත්තු අත්‍යුත්තු අත්‍යුත්තු අත්‍යුත්තු
ඇත්තා ඇත්තා ඇත්තා.

සෑම-2000
වෙළඳ මධ්‍යමානෙක්

1992.1.21. 2000. 1.12.



ა მ ტ რ ი ს ა ზ ა ნ

შიდა ქართლის ხეობების შესწავლა და ენციკლიკა 1950 წლიდან ატენის ხეობით და დავამთავრე ლიახვის ხეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ შიდა ქართლის ხეობების ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართლის ისტორიული წარსულის გახსაცნობად. შიდა ქართლის ეს ტერიტორია გეოგრაფიულად ქართლის საერთოდ დიდ ნაწილს მოიცავს, დაწყებული მდ. არაგვიდან ხაშურამდე. ამასთანავე იგი საყურადღებოა თავისი მდგრადობითა და ისტორიული წარსულით, რაღვანაც საქართველოს ტერიტორიის ცენტრალური იდგილი უკირავს; შეიძლება ითქვას, რომ იგი საქართველოს გულია — აქედან მოემართება მრავალი ვაჭა, რომლებითაც იგი ეკონომიკურადაც და სტრატეგიულადაც მომიქნავე რაონებს უკავშირდება.

ამან განაპირობა ის გაზიერება, რომ საქართველოს ისტორიული წარსული, მასი ეკონომიკა, კულტურულ-სოციალური მოვლენები სწორედ ამ იდგილის იყო გადანასკურელი.

ამით აისწენება ისიც, რომ ისტორიულად ქართლისათვის წარმოებულ პრძოლებში მოწინააღმდეგენი პირები ჩაიგდი შედა ქართლის დაპყრიობას უდილობდნენ.

ეს იდგილი გადამდინარე მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე და მას ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მრავალი ხეობა შე-

ერთობის. იმ ხეობების ბუნება, ყოფა-ცხოვრება და შესწავლა-
მიანობა მეტად თავისებურია. საყურადღებოა მათი ასეთი გუ-
ლი წარსელი და კულტურული ძეგლებიც. ინ რიცხვები

მოქმედებად ამისა, ეს ხეობები დღემდე შემცირდება ან
იყო შესწავლილი და ჩვენც მათ ნაკლებად ვიცნობდთ.

თავის ღრიცხე მათი მოქლე აღწერა მოგვცა გამოჩენილმა
მეცნიერება ვახუშტი ბაგრატიონისა, რომელიც თავის საქართვე-
ლოს გეოგრაფიაში არა მარტო გეოგრაფიული ხასიათის სა-
ურადღებო ცნობებს გვაწვდის, არამედ აგრძოვე საფულტო
და თავდაცვით ნავებობათა შესახებაც მოვკითხობს.

ვახუშტის ეს შესახიშნევი აღწერა სელ ჩამდენიშვ სტრი-
ქონს შეიცავს, რაც ეკრ დაავმართებულის დღევანდელ პეიონ-
ველს, ამიტომ საქორთოა იმ ხეობათა უფრო ვრცელი აღწერა
თავისი დამახსოვრებელი მოვლენებით, რომ მათზე სრული
და მართებული წარმოდგენა ვიქონიოთ. ეს ხარვეზი რომ ნა-
წილობრივ მაინც შეგვევსო, ჩეენ დავოწყეთ შიდა ჯაროლის
ხეობათა შესწავლა იმ თანმიმდევრობით, როგორც ეს ვახუშ-
ტი ბაგრატიონს აქვს მოცემული.

ლიახვის ხაობის ისტორიულ-გაოპრაციული მიმოხილვა

შიდა ქართლის მდინარეთ, შორის, რომელიც მტკერის ერთეული, ყველაზე წყალუხვი და მნიშვნელოვანია ლიახვის ხეობა. ლიახვი სათავეს მაღრან-დვალეთიდან იღებს. ვაჟუშტის აღწერით: „მაღრან-დვალეს გამოიდი დიდი ლიახვი თრისო-სა და ზახის კავკასია და დის სამხრეთ-დასავლეთის შეა“¹. მას კავკასიონის ქედიდან გამომდინარე კოდე მრავალი შენავადი უერთდება — ჩავის ხევი, მუგურის ხევი, როკის ხევი, ბერის ხევი და სხვ.

ლიახვი მოედინება აღმოსავლეთიდან დასავლეთით მუგუ-თამდე, აქედან კი სამხრეთი კორისაკენ შემოუხვევს. გზად მას ერთვის, ვარიანს ზევით, პატარა ლიახვი (შერთულში), გორითან კი — მეჭუდა. ლიახვი გაიყლო 85 კმ-ს და მტკერის ერთვის მარცხნივ, ქ. გორითან. ლიახვის აუზი 1500 კვ. კმ-ზე ფართობს შეიცავს.

ლიახვის ხეობა ნაზუეროვანია: მის სათავეს აშენებს ალპური მდელო, რომელსაც წიწვოვანი ტყეები ცვლის. შეა-წელს — ფოთლოვანი, ქვემო ნაწილზე კი ფართო ველ-მინ-დვრებია, საღაც უხვმოსავლიანი ყანები და ბაღ-ვენახებია გა-დამლილი.

¹ საქართველოს გეოგრაფია, თბილისი, 1941, გვ. 71.

ლიახვის წყალს უერთდება ბევრი მინერალური წყალის
გამო, გახტმტის თქმით, „იგი სისმელად შემჩრენა და შემოჩნი,
მარადის ცივია“ (ვახტმტი, საქ. გეოგრაფია, 75). რა კი ეს მარადის

ლიახვის წყლით მოჩწყული მიწა უხე მოსავალთას ერთად
გვმრიელ საკვებსაც იძლევა. ვახტმტის სიტყვით, „რომელი
ველი იჩწყვიან ღრახვითა, პური მისი ას ყოველთა ქართლი-
სთა უძმობესი, და გემოინი და სპეტევი“ (იქვე).

ამ ხეობის თვეში გეოგრაფიული მდებარეობითა და სტრა-
ტეგიულ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც დადი მინშვნელობა
ჰქონდა ქართლის იტოტიული წარსელისათვის.

ლიახვის ხეობიდან გადადიოდა გზები ჩრდილო-კავკასია-
ში ზეკარის უღელტერხილით. ამის ვახტმტიც აღნიშნავს: „ხო-
ლო ბეჭი, საღაცა სდის კავკასია, მუნ გამდაბლდების ზე-
კარის კავკასი და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა
ზანას და დვალეთს“ (გეოგრაფია, 78). მისივე სიტყვით, „კვა-
ლად ამ ზარმავის ხევის სათვირთო გარდავალს ზეკარზე გზა
ქართლისა და ღრახვებზე“ (იქვე, 115). ამ გზებით წარმოებდა
მიმოსელა და საქმიანი ურთიერთობა მეზობელ და მოსაზღვრე
ქვეყნებთან — ალან-ოსებთან, დვალეთთან და სხვ.

აქედანვე გადადიოდა გზები იმერეთს: გორი—ცხინვალი-
დან კეხეზე, შემდევ წონა—ჩიხათიდან—საჩხერეში, ონში და
სხვ. ვახტმტის კონვად იყის, რომ რაჭიდან კუდარის და წო-
ნის, ხოლო „აქიდან და კუდართდან გარდავალს გზა ქრცხინ-
ვალის ხეობისა ზედა ქართლში“.

ლიახვის ხეობის პარა ზომიერია: ზაფხულში არ იცის და-
დი სიცხე, არც ზამთრისა მკაცრი, განსაკუთრებით მის ზემო
6

მხარეში, გვის რაოთნში, სადაც მინერალური წილი
საავარეულო დღვილებია.

ეს ხეობა მოიცავს სამ რაოთნს — კორისა, ცისტიკური, ფაფისა. დღინისტრიაციელი ცენტრებია ქ. გორი, ცხითვალი და ჯავა. ამ ხეობის ძირითადი მოსახლეობა ჭართველობაა. აქ 30 მოსახლეობები რაები, რომლებიც გვის რაოთნში უფრო სკარბობენ.

ჭართველი სოფელი მდინარის ოზიე ნაპირის არის შეუწილი, ისეური კი — მთიან მხარეში.

თოთქმის ყველვან შეჩჩენილია ძველი ჭართველი სოფელის სახელები. კატეტრი ბავრატიონის აღწერის მიხედვით, დიდ ლიახვები აღნისხელია 50 ჭართველი სოფელი და 10 ისეური (გვევთა, ხოსო, ჯავა, ქეშელთა, მეგეოთი, კოშეა, როვა, ება და სხვ.).

პატარა ლიახვები კი — 16 ჭართველი სოფელია (ვახემტერი, საქ. გეოგრაფია, 202). აქ სოფელის მეურნეობა საქმით განვითარებულია. კორისა და ცისტიკალის რაოთნში წამყანი მეურნეობაა მებაღეობა-მეცვნახეობა, ჯავისაში კი — მესაქონლეობა. თოთქმის ყველვან გაუკანილია საჩქავი არხები, რაც ხელს უწყობს უხვემისავლიანობას. აქაური კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მოწინავეთა რიგებში არიან.

რაც შეეხება ლიახვის ხეობის ისტორიულ წინსულს, იყი დღემდე, როგორც ითქვა, არ არის სათანადოდ შესწავლილი. მათთაღია, არსებობს ამ ხეობის ცალკეული საყურადღებო ძეგლებისა და ქალაქების ზოგადი გამოკერევა. მაგრამ მისი ისტორიულ წინსულის მთლიანი სურათი დღემდე არ მოგვეპოვება.

ასეთ შესწავლას ართულებს ისტორიული წყაროების
ციხე და მემატიანეთა ძენწი ცნობები.

ამასთანავე, ეს წყაროებიც ას ახლ ქიოტების გვერდი
ლული და შემოწმებულია. კველაფერი ეს ანელების ისტორიულ
და წარსულის მართებული სურათის დადგენის. ასეთ შემთხ-
ვივაში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ ზოგადი ხა-
სიათოს მიმოხილვა.

ასებული წყაროების მიხედვით იჩვევე, რომ ლიახვის
ხეობა უძეველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. იგი თა-
ვისი ხელშემწყობი ბუნებრივი პირობებით იზიდავდა წინასი-
ტორიული ხანის დამიანას, რომლის საბინადროი ამ ხეობაშია
ღმობინილი. ამ მდინარის სახაევებში ნაპოვნია ქვისა და კა-
რები ერთეული იარაღები, ბრინჯის კულტურის ნაშთები, ავ-
რეოფე კულომური ნავებობანიც, რომელთა მიხედვით ძნე-
ლია რაიმე დასკვნის გამოტანა, რაღაც სისტემატური და
მეცნიერეულ-კლიერითი საქმიანობა, ავტოტვე დიდი აჩქერილო-
გურია გათხრები ამ მიწნით, ვარდა, დაზვერვითი მუშაობისა,
აյ არ ჩატარებულა. კველაფერი ეს ართულებს ამ ხეობის წი-
ნასტორიული ხანის მთლიანი სურათის ღლდვენა-გაღმოცემის.

ამ მხრივ საყურადღებო სოფ. ტყვიაში ღმობინილი ენე-
ოლითის ხანის ყორლანები, რომელიც 1938—1940 წწ. გა-
თხარია. ეს სოფელი პატარა ლიახვის პირის მდებარეობს. აქაა
რამდენიმე ყორლანი, რომელთავან გაითხარა ხამი. აქვე აღ-
მოჩნდა 42 დამიანის ჩონჩხი, დამახსიათებელი ინვენტა-
რით — ხელით ნაძერწი თანის ჭურქლით, სპილენძის საჭვა-
სით, ნემსით, ქვის ხელსაუქვეავებით და სხვ. განათხარი მასა-
ლის შესწავლაშ ცხადყო, რომ სამარხები წინაისტორიულ ხა-

ნას მიეკუთვნებოდა, სახელმობრ ენეოლითის, რომელიც ა-
თარიღებულია III ათასეულის პირველი ნახევარული, რიცხუა
25000 წელს ძვ. წ.)¹.

ამით დადასტურდა, რომ ენეოლითის ხანაში ლიახვის ხეო-
ბა დასახლებული ყოფილა და ამ დროიდან აქ ჩანს უწყვეტი
მოსახლეობა, ვინაიდან მომდევნო პერიოდის — პრინციპისა და
რეინის ხანის — ძეგლები მრავლადა აღმოჩენილი².

ასე შეეხება ანტიკურ ხანის, ამ დროის დამახასიათებელი
სამართები, სხვათა შორის, აღმოჩენილია კორმი, საღაც ნა-
პოვნია I—II საუკუნეთა (ა. წ.) ვერცხლის სამკაულები, მი-
ნის ჭურჭელი და ვერცხლის მონეტები ოქტავიან ავგუსტუსი-
სა და გატარზესისა; ავრეთვე მეტუდაზე, რომელიც კორონან
შეერთების ლიახვს, სოფ. ახრისა და ქვეშში აღმოჩნდა ამავე
პერიოდის მონეტები და ნივთები, რომლებიც I—II საუკუ-
ნეებს მიეკუთვნება.

საუკრადღებოა, რომ შიდა ქართლში, ახრისში, პირველად
აღმოჩნდა ერთი ოქროს მონეტა, რომელიც აღექსანდრე მა-
კადონელის ოქროს სტარტეზის უხეშ წაბატულობას წარმო-
ადგანს. ამგვარი მონეტების მოჭრის აღვალი და მისი გავრ-
ილების არეალი დღემდე არ არის დადგენილი. ზოგ მცენუ-

1 ს. ვაკელათია, ტევიივის ყოჩანელი სამართების აზეროლოგი-
ური გათხრები, თბ., 1934 წ.

2 თ. ვაკელათია, „ქართველის განპირი“, საქართველოს მეცნიერების მა-
სტერი, ტ. XVI—3, 1950 წ. ვე. 99.

ეპის (მაგ., დ. კაპანიძეს) ის მითინია კოლხურ იქტის მახეჭად,
რაც ისტორიულ სინამდვილეს აჩ შეესაბამება რ. 10 რეზე.

ჩვენი მოსაზრებით, ამ წამახულების უხეშ მიზნებების შემთხვევაში — ჩვენ
ნენ კურძო ისტატები მიცვალებულის საფლავში ჩასატანებ-
ლად, კინოდან აღუქსანდრის იქტის მონეტები უკვე აღარ
იყო მიმოქცევაში და ხატოთოდ აჩ მოიპოვებოდა.

რაც შეეხება ამ ხეობის ისტორიულ წარსულს, ასევე ლი-
ტერარიების მიხედვით იტკვევა, რომ მოელი მისი ისტორია და-
კვეშირებული იყო ქართლის ჩრდილო საზღვრის დაცვასთან
იქ მობინარე მომთაბარე ტომებისავან. ამის გამო ქართლის
სამეფო ხელისუფლება ლიახვის ხეობით ცდილობდა მევობ-
რული ურთიერთობა ქვინოდა ალან-ისებთან და დვალებ-
თან, რომლებიც ლიახვის სათავეებში ბინადრობდნენ.

მაგრამ ეს კოთილებზობლური დამოყიდებულება ზოგჯერ
იჩდევეოდა მტრის მოძალების გამო, განსაკუთრებით ახალი
შელთაღიცებების II—III საუკუნეებიდან, როდესაც ჩრდი-
ლოეთით გამოჩნდნენ ოტრქთა ტომები — ხაზარები, შემდეგ
მონლოლები და სხვ., მათს შემოტევებს ვერ უმკლავდებოდნენ
ალან-ისთა ტომები, დიდი ლიახვის სათავეებსაც იხევდნენ
და არაერთხელ შემოტრილან ამ ხეობით ქართლშიც.

ლეონტი მროველის ცნობით, ამაზაბის შეფობაში ქარ-
თლის სამეფო ქალაქის, მცხეთის, დასაჩრდებად „გარდამოვი-
დეს თესნი დიდნი სპანი გზასა დვალეთისასა, ხოლო კერა
ცნა ამაზაბ შეფერინ გარდამოსვლა თესთა ვიდრე გარდამოსუ-
ლამდე მოსა, და მოვიდეს რა თესნი იყო, დაფვეს ლიახვისა

ზედა რვა დღე განსუენებად და არა საჭა განვიდგ შემოტკიცა.
რამეთვ ქალაქია მცხეთისას შემუსერად მოსულ უკანონების
ალანთა ტომების ასეთივე შემოტკიცას ადგილურ ქართლად გამჭვირებული გარე გორგასლის მეფეობისას. ისინი გაღმოსულან დეალეთი-
ლან ლიახვეზე, მცხრანის ვზით და ქასპი შეუმუსრავოთ. მემა-
ტიანის სიტყვით, „მაშინ, კოთა იქნა ვახტანგ წლისა თოსა,
ვახტამოვიდეს ოქსნი სპანი ურიცხვნი და ივაჩებულეს ქართლი
თავიდებინ მტკრისათ ეიცრე ხენანამდე. ქასპი ქალაქი შემუს-
ებებს და ტყვე ცვეს და წამოიყვანეს და ვახტანგისი მირან-
დუხტ სამ წლის ქალი“ (იქვ. გვ. 145).

ვახტანგმა ისები დაამარცხა, უკუ ძეცია და ჩრდილოეთის
კუნძული ჩაუკეტა.

იმს ვარდა, ლიახვი, როგორც შიდა ქართლის ცენტრალუ-
რი ხეობა, არა ერთხელ ყოფილა შინა ფეოდალური ბრძოლე-
ბის ამპარეზი. ლეონტი მარცელი 11—111 საუკუნეების ქა-
რთლის ამბების თხრობისას აღნიშნავს, რომ ლიახვეზე სპარს-
ონია და საბერძნეთის მომხრე ქართველთა ჯვეფებს შორის
მომხდარი დიდი ბრძოლა და იქ, ჩეხისთან, დამარცხებულან
სპარსეთის მოვამინენით.

მომდევნო საუკუნეებშიც, არამთა ბატონობის დროს, ლი-
ახვისა და ჩეხებზე გრძელდებოდა ასეთი შეტაცებები.

ქართველი მემატიანე ვაღმოგვცემს: „არამთა საჩდალი
მოპამედ ხალილის ძე მოვიდა ქართლს, მოქროთ მის ბავრატ
ძე აშოტ-ქეროპალატისა და მისცა მის ქართლი. ხოლო მე-
ბამედ და ბავრატ წარილეს უფლის-ციხე, და მოვიდეს კანი

¹ ქართლის ცხოვრება, თბილისი, 1955 წ. გ. I, გვ. 55.

გარდამანელი შეუელად საბავშვა. შეიძნეს ოქს და მარტო მათ შორის. ასე იგინი გაიკუნდა და არცა იგინი. ვიღწეომდის გაიყინებს. და აყიანა წარმომადგენ წარმომადგენ გარდავად". XI ს. მეორე ნახევრაში ჩვენში დაიწყო სელჩუკის თურქთა შემოსევა, მთო სელონის ილტარსლინის მეთაურობით, რომელიც ლიახვის ხეობაში, კარბალა და შერთულში იდგა და საშინლად ათხრებდა ქვეყანას.

შემატიანის სიტყვით, „ხოლო ყოველსა ქართლსა შინა დადგა ლაშქარი, და თვით სელტანი დადგა კარბალა და მერმე ჩამოდგა შერთულთა და იჭირე საშინელმან ზამთრისამან და ბუქთა ძლიერთა". (იქვე, გვ. 255).

ამგვარად, სულთანი მკაცრი ზამთრის გამო იძულებული იყო გასცლოდა ქართლს. მაგრამ მან თბილისი და რესთავი გადასცა განხის მფლობელს, ფადღონს, რომელიც განაკრძობდა ქართლის დაზიანებას. ბაგრატ IV იგი დაპირიცხა და თავი ყოველწლიური ხარი ეხადა.

ამისთვის კავკასიის ხეობაში მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია არაბებისაგან დევნილ შიდა ქართლის მოსახლეობას — ვინიშნულიყო დასველეთ საქართველოს მთიან მხარეში.

როგორც ვიცით, არამთა მეორე შემოსევისას ცუდი დღე დაადგა ქართლის მოსახლეობას: არაბებმა ჩვენში მკაცრი საჩრდინებრივი პოლიტიკა დამყარეს და ქრისტიანებს სასტიკად დევნილნენ. ქართლის მოსახლეობა, კინც მაპმადიანობას ამ მიიღებდა, იძულებული იყო სამშობლო დაეტოვებინა და სხვაგან ეძებდა თავშესაფარი. ასეთი თავშესაფარი იყო დასველეთ საქართველო, რომელიც არამთა ბატონობას გადაიტანა.

ამის გამო ომოსავლეთ საქართველოდან დევნილი მოსახურები
ზა დასიელებუთ მხარეში იძინებოდა. შიდა ქართლიდან კი ლა-
ხვის ხეობის გზებით გაღიოვნენ ულელტეხილების დასახლებას და
ლელ რაჭა-ლეჩხემში, რომელიც იმ დროს სვანების ეკავა. ამ-
გვარიდ, სვანების მიწა-წყალზე VIII—IX საუკუნეებში გა-
ნდა ორი ახლი ქართული დასახლება — რაჭა და ლეჩხემი,
რომელთაც უწყვეტი ენობრივი და სარწმუნოებრივი კუშიარი
პქონდა დედასიმშობლი ქართლთან!

ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ რაჭის მეზობლად
მფებარე ჩრდილო თევზიაც ამ დროიდან ქართველების დახ-
მარებით კრუელდება ქრისტიანობა.

საუკუნეებთა, რომ ეს მისია დაკისრებული პქონდა ქარ-
თლის უძეველეს საეპისკოპოსო კათედრას — ნიქონის ეკლე-
სიის, რომლის შესახებ ვახუშტი წერს: „ლიახვის გაღმა
არს ნიქონის ეკლესია ღვთავების, დიდი გუმბათიანი, აღმაშენა
გორგასალ და დაფვა მის შინა გვამი წმინდისა რაედრენისა, მან
ჰყო საეპისკოპოზ და დასვა ეპისკოპოზი. ზის დღესაც, მწყემ-
სი კავკასიონთა, დვალითა და ამ თევზიად წოდებულისა, გლო-
ლა-ლებითერთ“ (გლოლა და ლები მთის რაჭაშია) (კახუშტი, გვ. 76).

ამგვარად, ლიახვის ხეობით ქართლიდან ჩრდილოეთ მხა-
რეში კრუელდებოდა ქრისტიანობა და ქართლის ხელისუფ-
ლება ცდილობდა ჩრდილოეთის საზღვაოზე მოსახლე აზერ-
თველი ტომებიც — თსები, ალანები, დვალები და სხვანი

1 ა. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, თბ., 1914 წ., გვ. 362.

შპათან საჩწმუნოებრივ-იდეოლოგიურ ერთიანობაში კულტურულ და ერთმანეთთან მეცნიერებლ პოლიტიკური ტრანს- ერთობა ქვინოდათ. ასეთი იყო პოლიტიკური მწიფებრივი საქართველოს სამეცნიერო მისი სახელმწიფო გაქრძინებისათვის, განსაკუთრებით დავით აღმაშენებლის დროიდან, რომელმაც საქართველოს ფეოდალური მონარქია შექმნა. დავითი და მისი მომდევნო საქართველოს მეფეები ამაში მართებულად ხე- დავჭნენ საქართველოს ძლიერების დასაყრდენს. ამით ითხსნე-ბა ამ პერიოდის მეფეების მისწირისფერა — ჩრდილოეთით მო- საზღვრე ხალხებთან პოლიტიკურ-ნათესაური კავშირი ეძებ- ნათ. ამ მიზნით ვითრგი 111 ირთავს ოსთა მთავრის საულს, მი- სი და რუსულანი ახორცება ისეთში, სასახლეში ისრულება ისეთის უფლისწელი დავით სოსლანი, რომელიც შემდეგ თა- მარის მეულლეა და სხვ.

ყველაფერი ეს იქითვენ იყო მიმართელი, რომ ჩრდილოე- თით სამეცნიერო ჰერთგული მოუკეშირები, რომ ცე- ბიც მის უშიშროების დაიცავდნენ, მათ შორის, პირველ ყოვ- ლისა, იყო ოსეთი. ამის ნათელ სურათს იძლევა თამარ მეფის მიერ გამართელი დარბაზობა, საქართველოს ყმად ნაფიცის, შირვანშავ აღსაჩინის სტუმრობის გამო, რომლის შიშვნე- ბელთა შორის პირველად ოსები არიან დასახელებული: „მია- გებნეს წინა ოვსნი და ყიფჩიანი ახალნი და შემდგომად პერი- კანი, შემდგომად ქართველნი და შემდგომად მესხნი და თო- რელნი შავშ-კლარჯ-ტაოელნი და, შემდგომად სომხითანი, შემდგომად აფხაზნი და სუან-მეგრელ-გერულნი თან ჩაქა- თავუერ-მარგელითერთ და თვით კარეის კარისა ქელისუფალ- ნი და შინანი“.

პომდევნო X III—X IV საუკუნეებში არსებული მონასტერი სიტუაცია შეიცვალა მონლოლთა შემოსევის გამო. მონლოლებმა აღმოსავლეთ საქართველო დაბყრეს, აგრძელებული მოსავლეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნებშე ვაბატონიზმის და, მდგრადად, საქართველოს სამეფო მოქმედა მონლოლთა ბატონობის რეალში. ჩრდილოეთით მობინაცრე ტომები ვერ უძლებდნენ მონლოლთა ბატონობის შძიმე ულელს და მათგან თავის დაღწევის მიზნით კავკასიონის სამხრეთის კოწიოებში იხისნებოდნენ და საქართველოს ჩრდილოეთის კარებს აწვებოდნენ. ამით იხისნება ის გარემოება, რომ მონლოლთა წაქეზებით და ხელის შეწყობით ოსებმა გორჩი V (ბრწყინვალის) შეფობისას გადმოლახეს ლიახვის სათავეები და ის ხეობა აოხრებს, თოლეს გორჩიც და იქ ვამავრდნენ. ამის შესხებ მემორიანე მოგვითხრობს: „მერჩე შევიღა (გორჩი V) და შემუსარა კავკასია შინა მყოფნი და დაიმორჩილნა, და მოხარუ ჟყუნა უოელნი-იგი, და დაამშეიდა ქართლი ოვსთა-ვან, ვინადგან გზანი უოელნი თვთ დაიპყრნა“.

ამგვარად, გორჩიგი ბრწყინვალებ მათზე გაიღაშეს, დაამარცხა ისინი, უკუაქცია და ლიახვის სათავეები მაგრაუ ჩატება.

მაგრამ X IV საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო პოლიტიკური კითარება უფრო გართულდა თემურილენგის ლაშქრობათა გამო, რომელიც ქართლის ჩრდილოეთის საზღვრების გადალახვით ფიქრობდა ჩრდილოეთის ოქროს ულასის—თოხთამიშის დამიარცხებას. ამ მიზნით მან რეაგერ გარდაშეს საქართველოს ჩრდილოეთ სახლვრებისკენ, რომლებშიც ლიახვის სათავეებიც შედიოდა.

ლიახვების ხეობის დაცვა-მეოვალურეობა ამ დროის შეფარგვებით
საგან დაკისრებული პქონდა ღიღვევაროვან მაჩაბელი, რომ
ლის შესახებ ვახტემტი ამბობს: „მაჩაბელი იმავე ცატნილი
ძეობის, აფხაზეთილის მოსელას“ (გვ. 25). პირველი მოსელა

როგორც სისტორიი წყაროებიდან ჩანს, მაჩაბელი პირ
ველად იხსენიება გორგვი VII დროს (1395—1407 წწ.), თე
შემოსილენვით პრიმოლებში. მაჩაბელს მინდობილი პქონდა ლი
ახვის ხეობის გამავრებასთან ერთად ჩრდილოეთი მოსაზღვე-
რე ტომებთან. პირველ ყოვლისა, ოსეთთან მეგობრული ურ-
თოერთობა დაემუარებინა და სამხედრო-თავდაცემით კაჯში-
რიც განემტეაცებინა.

მემატიანის ცნობით, მაჩაბელს ოსეთთან სამხედრო კავ-
შირი დაუმყარებია, დაუმარცხებია თემურლენგის ლამჭარი;
„მაშინ იყო მაჩაბელი, რომელსა ერქვა ხალელამპრეს, მოიმ-
კრი ივსეთი და დღულება საული თავისი, რათა შეეწიოს თა-
თართა ზედა. შეკრიბეს გარი ერთამ თრი ათასი კაცი, ჰყვა ძე
ერთი, რომელსა ერქვა არხიპოს, ეს არხიპოს უთავა გარსა,
და იყენეს კოტაოდენი ქართველნიცა, დაესხნეს თავსა ლანგ-
ომურის გარს და დიდი ზიანი უყვეს“¹.

ამ დროიდან მაჩაბელი, როგორც ლიახვების ხეობის გამგე-
ბელი, სახლდება აქეე. ხეობის მნიშვნელოვან ცენტრში, რო-
მელსაც ეწოდებოდა აჩაბეთი, საიდანაც გზა დეალუთში გა-
დიოდა, მას უწოდებდნენ „გზისა აჩაბეთისისა“.

მემატიანის ცნობით, როდესაც თემურლენგი საქართველოს
ანალგურებდა, ამ დროს ქსნის ერთისთავს „ესმა დვალია ღალა-

1 ქარ. ცხოვ. II, გვ. 337.

ტრ. განჩისხნა და განილაშქრა მათზედა და შემოვიდა კრისტიან
ერისთავი გზისა აჩაბეთისისა... მოაქრა სტულიად ფაქტოდებული
აჩაბეთი ამავე დროს მეფის რეზიდენციაზე იყოფილ მიწის მართვა
ლიკ უშუალოდ მეფეს ემიტჩილებოდა. იგი ამ ატარებდა
ასე მთავრისა და ასე ერისთავის სახელწოდებას, — მას მინი-
ჭერელი ქიმდა ხევის უფროსობა და იწოდებოდა ხევის თა-
ვად. მისი სახელისუფლო ღიახეის ხეობაზე იწყებოდა აჩა-
ბეთიდან ღიახეის სათავეებიდე, მინდობილი პერნია ჩრდი-
ლოვითის სისახლეებით ზონის მეთვალყურეობა და მოსახლეობა.
ასე მეცნიერება ღიახეის ქვემო მხარეს, როგორც ცნობილია,
აქ ქ. გორის მოურაობა 1465 წელს თავდადებისათვის გორგა
VIII ებოძა თვის ერთგულს ზედგენიძე-ამილახვარს სამემ-
კეოდრიდ და მას განაცემდა ამილახვარი, რომელიც უშუალოდ
მეფეს ემიტჩილებოდა.

ღიახეის ხეობა აგრეთვე საქმაოდ საიმედოდ იყო გამავრე-
ბული ციხეებითაც: დიდ ღიახეზე — მუგურის ციხე, გეღოთ-
ია, სევრია, კეხვისა და აჩაბეთისა; პატარი ღიახეზე — აწერ-
ვის ციხე, განათისა, ინუ დმენისა, კულბითისა და ერედვის ცი-
ხე-გალავანი; ასევე ოჩივე ღიახეის სანაპიროზე მჩავლად იდ-
გა საყარაულო კოშკები, რომლებიც სასიგნალო ნიშნებს იძ-
ლუოდნენ მტრის შემოსევისას.

ღიახე-მტრების შესართვეთან ამ ოჩივე ხეობას დაზარბა-
და გორის დიდი და მავრი ციხე, რომელიც მას მტრების ხეო-
ბიდან მომდგარი მტრისაგან იცავდა და ჩრდილოვითიდან შე-
მოქრილი მტრების კირის ჩამეეტიც იყო.

ამის გამო საქართველოს მეფეები ამ ხეობის დაცვის საგან-
2. სერგ მაკალეთი

ვებო უურალების აქცევდნენ: მეფეს აქ თავისი წეზადებაცაც
პქონდა აჩაბეთში და ერთგული გამგებელიც მაწმილებელია.
თლონდ, როგორც ვიცით, მომდევნო საუკუნეში მარტინ ლინგო
ჩებით XV საუკუნიდან, პოლიტიკური სიტუაცია აღმოსავლეთ-
ში საქართველოს საზოგადო შეიცვალა: კონსტანტინოპოლის
თერქთავინ დაპყრობის შემდეგ, 1453 წელს, საქართველოს
სამეფოს დასავლეთ-სამხრეთიდან მოადგა ძლიერი მტერია —
ოსმალეთი, აღმოსავლეთიდან კი — გამლიერებული ყიშილბა-
შური იჩანი. ორივე ეს აგრესორი ერთმანეთს შეტყობინდნენ
ამიერკავკასიის დაპყრობისი, პირველ რიგში საქართველოს
სამეფოს ხელში ჩაგდებისა და საუკუთარი გავლენის ქვეშ მოქ-
ცევაზე ფიქრობდნენ. მათი ზეგავლენით იწყება საქართველოს
სამეფოს მოლიანობის დაშლა და სამოავრო-საერისთავობის
წარმოქმნა.

ამავე საუკუნეში საქართველო გაიყო სამ (ქართლის, კახე-
თისა და იმერეთის) სამეფოდ. ქართლის სამეფოს კი გამოიყო
სამცხე-საათაბაგო. მომდევნო საუკუნეში კალე ჩამოყალიბ-
და ქსნის და არავის სერისთავობი, სამცხესანბატონი და
სამილახვრი, რომლებიც ქართლის მეფეებს ნომინალურად
ემორჩილებოდნენ, ხელსაყრელ ვითაჩებაში კი მზაუ იყენენ
განდგომისათვის.

ამ მხრივ ლიახვის ხეობის, სამაჩაბლო ბოლომდე ერთგუ-
ლი დარჩა მეფისა: შენა ფეოდალურ ბრძოლებში ივი ქართლის
მეფის მხარეზე იყო, თავდადებით იცავდა მეფისა და მისი სა-
ხელისუფლო ხეობის ინტერესებს. ერეკლეც აფასებდა ასეთ
ერთგულ სამსახურს და სრულ კმაყოფილებას გამოიწვევდა

მაჩაბლის მიმართ, მისი სამულობელოში ერთიანობისა
უშეიღობიანობის დამყარების გამო.

ხოლო შემდეგ, როდესაც ერეკლე II 1777 წელის მიზანით ერთიანობისათვის გააუქმა, ლიახვის ხეობაშიც მდგო-
მარება, შეიცვალა, — მეფემ ლიახვის ხეობა „მოუბობა ბა-
ტონიშვილს იულონს“. მან კი ცხინვალი უბობა თვის და-
დას — დარეჯან დედოფალს და ეს მცირე ქალაქი ამ დროიდან
ითვლებოდა სადედოფლად. ამას ჩქარა მოჰყვა ქართლ-კახე-
თის შეერთება ჩესეთთან, საქართველოს ჩრდილოეთის სამ-
ცვარი მოიშალა და იგი გაერთიანდა ჩრდილო კავკასიონთან,
რომელიც უკვე ჩესეთის სახელმწიფოში შედიოდა. ჩრდი-
ლოეთის სახაზღვრო ზონის გაუქმებას მოჰყვა ლიახვისა და
ქანის ხეობებით ჩვენში ოსების ჩამოსახლება, მით უმეტეს ეს
ხეობები აოხრებული იყო ლეკით თარეშისაგან, ზოგიერთი
სოფელი უკაცრიდებოდა და მოსხლეობის მისაზიდავიდ
ლიახვის ხეობის მემამულები ცდილობდნენ გახიზნული ქარ-
თველების სხვადასხვა შეღავათებით უკანვე დაბრუნებას, აგ-
რეთვე ისების ჩამოსახლებას. ახლად ჩამოსახლებული ისები
გარევეული შეღავათითაც სარგებლობდნენ, — ისინი თვისუ-
ფანი იყენენ პირადი სატონიკური სამსახურისაგან, მებატო-
ნების მამულშე სახლდებოდნენ, მეუმავებლენ მას და წლიუ-
რად მემამულეს 5—10 მარეთამდე მატეს უხდიდნენ.

მიგარად, XIX საუკუნეში ლიახვის ხეობის ზემო მხარე-
ში, ღლევანდელ ჩავის რიპონში, წარმოიშვა ისური მოსხე-
ლეობის უმრავლესობა, ნაწილობრივად კი ცხინვალის რა-
ონშიც.

ამ ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდეგ შეგ-
ვიძლია ვადავიდეთ მატერიალური კულტურის იმ ეფელთა აღ-
წერა-დახმასიათებაშე, რომლებიც აქ მოგვეპოვებია.

მატირიალური კულტურის ძიგლიფი

ლიახვის ხეობა, აქ შემონიშვნელი ისტორიული ხსივითის ძეგლებით, მეტოქეობის ცერ უწევს შიდა ქართლის შეზობელი ხეობების პირველხაზისხვან ძეგლებს: იგი შედარებით ღარიბად გამოიყერება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ ხეობაში მდიდრულად მოჩეკერძობებული და მოხატული ნაცემობანი ას მოიპოვება, — არის საშეალო საუკრძალების საჯულტო და თავდაცემის ნაცემობანი, რომელთა უმეტესობა დრო-ეპი-სა თუ მტრის ხელით შემუსერილია და დღეს ნანგრევს წარმოადგენს.

ყველაფერი ეს მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი რბევა-ობებება განიცადა ლიახვის ხეობაში წარსულში. მათი გაცნობისათვის ჩვენ აქ შევეხებით იმ ძეგლებს, რომელთა შესწავლა ნათელ სტატს იძლევა, ამ ხეობის კულტურულ-ეკონო-მიკურ ეოთარებაშე.

ასეთ ოღნიერის ვიწყებთ დიდი ლიახვის სათავიდან შეჩრთულმდე, საღაც მას შეერთეთი პატარა ლიახვი, შემდევ გაჟაველთ პატარა ლიახვებები, სათავიდან შეჩრთულმდე და დავიძავერებთ შეჩრთულდან ლიახვის მტკეართან შეერთებით.

დიდი ლიახვის სათავის სოფლები და ისტორიული ძეგლები მიეკუთვნება ჭავის რაიონს, იგი მაღალმთიანი ჩაიონია, წყალუხვევია, შემოსილია ალპური მდელოთი და ლამაზი ფოთ-

ლოვან-წიწვოვანი ტყით. აქედაც იყო სასახლერთ ზორი სასკრინერი უა ქართლს შორის. ნისოფლარებისა და ისტორიული ძეგლების მიხედვით მოსახლეობა წარსულში შეჩერელა უკავშირობის ქართული. დღეს კი ისტორია.

აქეურ სოფლებში ყოფილა ძველი ყალასები, რომლებიც დღეს დაშლილ-დანგრეულია; მაგალითად, დოდოთში არის ეკლესია „ცხრავარი“ — XI საუკუნის ძეგლი, კვაისაში — „კვაისაწვარი“ — X საუკუნისა, ნაღარბაზევსა და სოხთაში (XI საუკუნე), აგრეთვე ციხე-კოშებიც, ზოგი დანგრეულია — მხლებში, სოხთაში, წოისაში, გუფოთასა და მეგრეთში. ვახეშრის სიტყვით, „კუფოთას არს ნაციხეარი, მუგურს აღაშენა ციხე მაჩაბელმან, მემფისვრეს უჩიუმთა“ (გვ. 77).

გუფოთას ნაციხერიდან დარჩენილია ციხის კოშეის ქედა V სართული, ნაგებია რიყის ქვით—დუღაბით. მას გალავანიც ჰქონია. დარჩენილია მისი აღმოსავლეთის ნაწილი. კოშეის ქვედა სართულს ჩრდილოეთ მხარეზე აქვს შესასვლელი კარი. ნაციხერი სოფლის თავზეა, დიდი ლიახვის ნაპირას, მაღლობზე. ლიახვი მას ჩამოუდის დასავლეთით. ნაციხერის გვერდით სახლობს რამდენიმე მეურმური.

უნდა აღინიშნოს, რომ ჭავიდან კვაისაზე გზა გადადიოდა ორში (ეს გზა დღესაცაა).

კახუშტის, გუფოთას და მეგრეთას გარღა, სხვა სოფლების ისტორიული ძეგლები არა აქვს მოხსენებული თავის გოგრაფიაში, — ეტყობა, ისინი ლექიონობის გამო XVIII საუკუნეში გამარტიახებული და უკაცრიელი ყოფილა.

ს ვ ე რ ი ს ც ი ხ ე დიდი ლიახვის მარცხენა მხარეზეა, გუფ-

თას ქვემოთ, იგი მაღლობზეა, გვირდით ჩამოვლის წყალი, რომელიც ლიახვს შეერთებს.

ეს კიბე მოელ ხეობას გადასცეურის და მართვის მიზანის სამართლის და მართვის მიზანის სამართლის აქტების აღეს ქმიტებში და მართვის სამართლის სოფ. სევერიც, მხოლოდ კიბეზე არაფერია ნათევა-
მი და არც რეკაზეა აღნიშნული.

ამავე ღრის შპს აღწერილი აქტს ამავე სახელწოდებით იმე-
რეთის სევერისხევი და კიბე სევერისა, რომლის შესხებ ამ-
ბობს: „ამ ხევზედ არს კიბე სევერი, არაოდეს ძალით აღებუ-
ლი” (ვკ. 156).

კიბე საქმით მოხსრილია, ნაგებია ქვითებით. მის გარ-
შემო უვლის ღრმა, და მნელად მისავალი ხევი. კიბე სწორ-
კუთხია, კვადრატული ფორმისაა, კოშკები ჩრდილო-დასავლე-
თისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეზე აქტს. მათში რჩი-
კოშკი ნახევრად დანგრეულია, დასავლეთის კოშკის სიმაღლე
7—8 მეტრია, კედლის სისქე — 1 მ, კოშკის ფართობი $4 \times 3,50$
კვ. მ-ია, კიბის გალავანი მაღალია. ქონგურები არ შერჩენია.
კიბის ფართობი დაახლოებით ნახევრადი ჰქებარია. კედლებს
შერჩენია სალოდეები. კიბე ნაწილობრივად დაშლილია.

ჩრდილო-დამოსავლეთის კუთხეში წრიული მინაშენია
ასეთივე მინაშენი უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთის მხარეზეც.
როგორც საცხოვრებელი სათავსი. სამხრეთის კედლობან გა-
რედან ჩაფლულია ქვერები.

ვახ უ შტი სევერის კიბის აშენებას მიაწერს თეიმურაზ
მაჩაბელს, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში
ცხოვრიობდა, და ამბობს: „ხოლო ამილახვაზ-მან წიმოცვეანა
მაქმად ყული ხანითურთ თსმალთა სპანი და დაესხა მაჩაბელს

მუკუთი, შემცირებ ციხე სვერისა, რომელიც აღმინა თუ რაზე მაჩიბდელ-მან".

მის ზუსტ თარიღს გვაძლევს სენია ჩხეიძე, რუმელიუმის პოპი: „ქრისტიანისა უით (-1731 წ.). შეუხდნენ გამოსახულ თავს შანშეს, კინ ბატონი ურემთა გარითა, მჩავალი სელი და ტყეევეს. ბოლოს შემოეხევა შანშე და შეიჩივეს. შეუხდნენ სამართლოს, აღეს ციხე სვერისა და დაქცევს. გარდაიარეს მთა ოსეთისა, მიუხდენ მუკუთსა, კოშკი იყო მაგარი, ადგილი კლდოვანი, შეექმნათ სროლა, დაიხოცა თათარი არა მცირედნი".

კეხვი მოზრდილი სოფელია, მას პატარი მღინარე კეხურა ჩამოუდის, (იგი კეხური ვაშლის სამშობლოა და აქედან ვარსკულებულ მოელ ქართლში). აქ ცხოვრის 250 მეტრი, — კეხნიაშვილები, ბლიაძეები, ნებიერიძეები და სხვ... უმრავლესობა კეხნიაშვილების ოდახი.

ძირითადი მეტანეობა მებალეობა-მეცენატეობაა. მოსახლეობა შეძლებულად ცაოცრიობს.

კეხვიდან გზა გადადის კვაისაზე, იმერეთში (ქრთაისში, ონში და სხვ.), სოფელი დიდი ლიახვიდან დაშორებულია ნახევარი კილომეტრით, აქვს ლამაზი მდებარეობა და მომხიბლავი გარემო.

კეხვის ციხის გარდა, ამ სოფელში სხვა მნიშვნელოვანი ძეგლი არ შემონხსელა.

კეხვის ციხე საყურადღებოა თავისი მდებარეობითა და ნაგებობებით; ლიახვის ხეობაში იგი ყველაზე მნიშვნელოვანი თავდაცეიონი ნაგებობაა; მას აქ ცენტრალური აღვილი უკავია

და ხეობის სამხრეთ-ჩრდილოეთის მხრიდან მომდგარის გადა-
ბის განაკვეთი იყვავდა.

კეხეის ციხე სოფლის დასავლეთის მხარეზეა, მიუხვენის მ-
შორებულია ორიდე კალომეტრით, მაღლობზე ჯვარის გვარის
ტაძას მესამედი ნაწილი უკირავს. გარშემო ციხის ხევა უვლის
და ძნელი მისაღვიძითა.

ციხე ნაგებია კლდის ქვით — დუღაბით. მისი ზემო ნაწილი
შემდეგში განუახლებიათ ჩიყის ქვით. იგი შემოსლედუ-
ლია ქვითირის გალვანით, ზოგან გალვანით დაშლილია. მის
კოშკია შორის შემორჩენილია ორი კოშკი: ერთი, ოთხკუთხი,
თავმორჩეულია, მეორე, უფრო დიდი, მაღალი და განიერი
კოშკი მოლოდი, მხოლოდ თავი აქვს მორჩეული და ჩრდი-
ლო მხარეზე, მაღლა, შემორჩენია სალიდე.

კოშკები 4—5-სართულიანია, სართულები ჩაქცეულია,
ეტყობა, შიგ გამართული იყო საკეთებებები სათავსები.

ციხეს შესასვლელი აქვს დასავლეთიდან. შიგ ციხეში გა-
მართულია წყლის საცავი — ჭა, რომელშიც წყალი ახლაც
დგას. იგი ნაგებია ქვიტურით.

გალავნის კედელსა და კოშკებში გამართულია სათავუ-
რები, სარკმლები და ბუხარიც.

ციხეში წყალი შედიოდა თხხის მილებით გვერდით მდება-
რები, მთის ფერდობიდან, საღაც წყარო ახლაც არის. კეხეის ცი-
ხე აღწერეს პ. ზექარაიაშ და ვ. ბეზსონოვმა¹. მას დართული
აქვს ციხის სქემატური გეგმაც.

¹ პ. ზექარაია, სამშობლის გუმუშები, თბ., 1965 წ.; В.
Б е з с о н о в. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахвы,
Изв. Инст. Краеведения, вып. I. Сталинири, 1933 г.

პირველად კეხვის ციხე იხსენიება XVI საუკუნეში, რომ
დესაც ქართლის დახმატურობიდ თრია აგრძესორი იმპირატორი
თურქეთი და ორანი. 1578 წელს თურქებმა ლალაუნარას მეტიანა
თურქობით იმპერიუმი დაამარცხეს, მაშინ ირანში, ტუკომბაში
მყოფი ქართლის მეფე სეიმონი გაათავისუფლა და დიდი ჯა-
რით გამოვზავნა. სეიმონმა თურქები დაამარცხა, დასაქა მათი
მომხრე ფეოდალები, პირველ რიგში — მუხრანბატონი, რომელიც
შეიძყრო და კეხვის ციხეში დაამწყვდია. მემატიანის სი-
ტყვით, მობრუნდა მეფე სეიმონ, აღილო ვარი, ქართლში გა-
ძლიერდა, მუხრანბატონი ვახტანგ, ტაძრად მოყვანების დღეს,
ხელთ დაიკირეს პატრიონმა სეიმონ მეფემა და კეხვის ციხეში
ტუკედ ჩავდოთ".

1625 წელს ვიორგი საკაძემ გაამაგრა კეხვის ციხე ირა-
ნელების წინააღმდეგ საბრძოლებელად.

ვივი ამილახვარმა კეხვის ციხე გამოიყენა ნადირ-შაჰის წი-
ნააღმდეგ საბრძოლებელად, გაამაგრა ეს ციხე და აქევან ებრ-
ძოდა შესს: „ყიშილბაშთა ჭარი კეხვის მოუხვდნენ სამჯერ ამი-
ლახვარს გივსა, სამ-ჯერე გაემარჯვა და მოსწყვიტეს ყიშილ-
ბაში".

1745 წ., შაჰის ბრძანებით, თემურებაშმა ჭარი გაგზავნა კეხ-
ვის ციხის ასაღებად, მას ალექს შემოარტყეს, ოთხ თევეს ალექ-
ს შემოარტყმული ციხე მარც ვერ აიღეს. შემდეგ ციხეს ზარ-
ბაზნები დაუშინეს. ვივი ამილახვარმა ვერ შესძლო დამარტ-
ბის აღმოჩენა და ციხეც დანებდა.

ვივი ამილახვარის შემორივების შემდეგ, შაჰის ბრძანებით,
დაქციეს სურამისა და კეხვის ციხე.

მაგრამ მომდევნო წლებში კეცის ციხე ისტორიული
ღვევებისაგან თავის დასაცავად.

1763 წელს ქართლში შემოქრიდა ღვევთა მოწყერული კანონი
სამართლოს დასაჩინდევად, მაგრამ ერთეული მეზებები მომდევნო
შეუძლიავს, გაუმაგრებია კეცის ციხე და სასტიკად დაუ-
მარცხებია მტკრი. მემატიანის სიტყვით, „წელსა 1763, მოკ-
და სამართლოში კეცის ღვევთა ჯარი, მისაწრია მეფემან ირა-
ლი, განემარჩვა და მრავალი მოსწყვერტეს“.

1810 წელს კეციში გამაგრდა ბატონიშვილი ღვევთ იული-
ნის ძე, რომელიც ჯვის ხეობის ოსებს მოუწოდებდა მეფის
რესეთის წინააღმდეგ ასაგანვებლად. მა მიზნით იყო აქედან
ავრცელებდა ირანიდან გამოგზავნილი ალექსანდრე ბატონი-
შვილის წერილებს ოსებისადმი, რომელშიაც მოითხოვდა მათ
მხარდაჭერას.

ალექსანდრე ბატონიშვილის მოლოდინში ღვევანს დახმარე-
ბას უწევდნენ ხერხეულიდები, ბააღურ და ისე მაჩიბელი,
რომლებიც ამაგრებდნენ ლიახვის ხეობის შენაკადების ციხე-
კოშებს, მათავებლენენ სურსათით, ოსები კი — სახორცი სა-
ქონლით. კეცემი თავმოყრილ მეამბოხეებს ღვევანი არწმუნებ-
და, რომ ირანის შაპის გარები დასახმარებლად შემოეიდნენ,
ალექსანდრე ბატონიშვილიც დღეს თუ ხეალ გამოჩნდებათ.
კეცის ციხესთან არის დედალეთისას ნიში, გაღმა მთაშე კი—
წმ. გიორგის პატარა საყდარი.

წმ. გიორგი კი დამდილია, შიგ არის ლომის მსგავსი ქან-
დაყება. დედალეთისაში ხატობა იყიან 7 მოსს, სალოცავად
მიღიან აღდგომის.

კეცის მახლობლად, ლიახვის მარცხენა ნაპირას, სოფ. ქე-

შერტმი, დაცულია მრგვალი კოშე. იგი კარგადაა ნაშები, შეტრისულია და ლამაზი შესახელები. კოშე ხუთსართულია, კაბე-ასასვლელი შეგვაეცა გამართული, მისი სიმაღლე, წლიურად 14 მეტრის. აქვს სათოფურები, სალოდები და ქონბეჭტები 10 მეტრის.

პირველი და მეორე სართული გადახურულია ხის კოჭებზე. მეორე სართული კამაროვანია, მესამე სართული კი — ვერმითოვანი, ეტყობა, მესამე და მეორე სართული უნდა ყოფილიყო საცხოვრისი და თავდასაცავიც.

პირველ სართულს აქვს უჩუ კედლები. როგორც სარდაფი, იგი გამოყენებული იყო წყლის საცავად, რაზედაც მიგვითოთებს კედელმი შემოჩჩნილი თიხის მილის ნაშთი. კარის თავზე გამოსახულია დეკორატიული ჯვარი. (3. ზაქარაია, ქემერი, 197, იქვე კოშეს სურათი, გვ. 198).

აჩ აბ ე თ ი. ლიახვის ხეობაზე აჩაბეთი მნიშვნელოვანი ადგინისტრიულ-პოლიტიკური ცენტრი იყო წახსულში. აქ ყოფილა აჩაბეთის მაგარი ციხე, მეცნი რეზიდენცია და ამ ხეობის გამგებლის, მაჩაბლის, ადგილსამყოფელი. მას ეკავა დიდი ლიახვის ცენტრალური ადგილი. აქ გადიოდა ამ ხეობის უცხალა მნიშვნელოვანი გზა.

ე ა ხ უ შ ტ ი მასზე მეტად-ლაჟონერ ცნობის იძლევა: „ოთხის ხევზედ, კორის ძირის, აჩს აჩაბეთი, სისახლე და ციხე მეცნიერა“ (ვახუშტი, გვ. 76). დღეს კი აჩაბეთი ნანგრევს წარმოადგენს, სისახლის კუალიც აჩ ჩანს, მისი ციხე და გალავანიც დაშლილია.

აჩაბეთი პატარა სოფელია, ცხოვრობს 300 მეტრული (მას სურადე, ხეთაგური, შეტრეველი, ბაბუციძე, რაზმაძე, ოტიაშვილი და სხვ.). მაჩაბლის გვარი აქ უკვე აჩ იხსენიება — იგი

შეცველილია ოტიაშვილებიად. აქაური მებატონების კანტონი—
ლი მეფის მთავრობას დანაშაულისათვის გაღაუსახლება კიბ-
ბირში, სასჭელის მოხდის შემდეგ აჩაბეთში პრატიქებული
და ვეზატიც გამოუყოლია. მისი ჩამომავალი, პირულშემცირები,
აჩაბეთში სამი კომლია.

ამ სოფელს ჩამოუდის ხევი „მუმლა“, რომლითაც ბალ-ვე-
ნახებს რწყავენ. შოსახლეობა ძირითადად მებაღეობასა და მე-
მინდერეობას ეწევა.

შეცველი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლებია (კიბის გარ-
და) ერთი პატარა ეკლესია და „ზეარეთის“ წმ. ვოორგი. (აქ
ლოცულობდნენ გოორგობას).

აჩაბეთის ციხე დანგრეულია, ნაგებია რიყის ქვით—დუღა-
ბით. დაჩჩენილია შეკა დიდი კოშკი, ფირმით ოთხეუთხა, აქეს
სათოფერები. მისი სიმაღლე 20 მეტრს აღწევს. კარი აქეს
სამხრეთით. მისი ფართობი 10×10 კ. მ-ია. გარშემო გაღაუ-
ნით ყოფილა შემოსილულება, შეჩჩენილია მისი ნაწილი სამ-
ხრეთით და ჩრდილო-დასავლეთით. გაღავანი მაღალია. ცი-
ხის გაღავანში დგის პატარა ეკლესია — წმ. ესტატე, ნაგებია
კლდის ქვით, ზემო ნაწილი კი — რიყის ქვით, ერთნავიანია,
მათთვის ფართობი 6×4 კ. მ-ია. ჭერი თაღოვანი აქვს, დატანე-
ბულია ორი სარქმელი და სამხრეთით — ერთი კარი. აღმოსავ-
ლეთის ფანჯრის თავზე ქვაფიქალზე ამოჭრილია სამი კუთხო-
ვანი ჭვარი. შეკვეთის შეცველია.

ციხეს თავისი გაღავნით უკავია დაახლოებით ერთი პექ-
ტანი. აჩაბეთის ამ ციხის შესახებ საისტორიო წყაროებში
მცირე ცნობებია შემონახული. პირველად იგი იხსენიება XVI
საუკუნეში, ქართლის მეუკა ლუარსაბ I დროს, ირანელებთან

ბრძოლისას, როდესაც იგი აჩაბეთის ციხეში იყო გამაფერ-
შული¹.

ვეკი ამდღაცვართან ბრძოლის დროს ერეკლე ქადაგისათვის
მოუხდა აჩაბეთისათვის ბრძოლა. მიუხედავად დიდი წინააღ-
მდევრბისა, ერეკლემ აჩაბეთი თოლო XVIII საუკუნეში, ლე-
კების თარეშის დროს. აჩაბეთის ციხესათვის არა ერთხელ მომ-
ხდარა ლევის გარებთან შეტაკება.

1759 წელს დაღესტნის ბელადმა კოხტამ და ჩონჩოლ-მუ-
სამ თაღეს აჩაბეთი, აოხტენეს იგი და მრავალი ტყვე წაასხეს.
მემატიანის სიტყვით, „ვარდამოვიდნენ კვალად დაღესტნის
ბელადი კოხტა და ჩონჩოლ-მუსა დაღისტნის გარებით. ვიდრე
რეა-ათასმდე კაცნი: ესენი გაიყენენ, ჩონჩოლ-მუსა მოეიდა
აჩაბეთს და აღილო და მრავალზი სულნი დაპტყვევნა, შეელო
ლიახვ-ზედ, სამაჩაბლოს ოხები დაარბივე“.

მთ წინააღმდეგ შეკავშირებულან თეიმურაზი და ერეკლე,
ავრეთვე იმერეთის მეუე სოლომონი. ამის გამო ლევითა გარი
დამფრთხობა და ვაქცეულა. ლევიების ასეთსაც შემოსევას
აჩაბეთში ადგილი ქვინდა მომდევნო წლებშიც. სამაჩაბლოს
გარემოების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნეში, მაჩაბლებმა იქ-
რან დაიწყეს გადასახლება თამაჩამენში, სადაც ახლაც ცხოვ-
რიბენ.

თირის მონასტერი ა. აჩაბეთის დამავლეთით მდება-
რებობს თირის მონასტერი. სოფლიდან დაშორებული 4 კილო-

¹ ქართლის ცხოვრება, ნოწ. II, გვ. 281, ივ. ფავსტოშვილი, ქართველი
ერის ისტორია, წ. IV, გვ. 251, აჩაბეთის ციხის გეგმა (B. Bezsonov),
გვ. 232.

მეტრით. მონასტერი მაღლობზეა, გარშემო დაფიცესტურია, / აქ-
რავს სახნავ-სათები ადგილები, ბაღ-კენახები ფურიჩაულიან
ცეკვაფერი ეს ლამაზ ხედებს ქმნის.

აქეთ სოფელი მონასტერიც, სადაც ცხოვრობს ათოოდე
მეურიშური. მონასტერს შესასელელი აქვს ღასავლეთით, შე-
მოწილეობული ყოფილა კვიტერის გაღანით, რომელიც ახლა
ნაწილობრივ დამდილია.

მონასტრის ნაგებობანი თავის აჩქიტექტორული გაფორ-
მებით მნიშველზე კარგ შთაბეჭდილებას აძლენს, მათ უმეტეს
ლიანების ხეობაში ასეთი მაღალხარისხისონი ძეგლი არ შემო-
ნიხულა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი უთარილო, და მია-
კუთხებენ X III—X IV საუკუნეებს, როდესაც ჩვენი ძველან;
შძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებში იმყოფებოდა. ამ
პერიოდში საქართველო, მონდოლების შემოსევის გამო, სა-
შინელ აოხების განიცდიდა, ამას ერთვოდა შინა ფეოდალუ-
რი ბრძოლები, ეკონომიკური დაცემა და მორიალური დაქვეი-
თება. მიუხედავად ასეთი ძნელებდობისა, ეტყობა, თირის მო-
ნასტრის მაგალითზე, მარც ახერხებდნენ ასეთი კაზი ნაგე-
ბი და ლამაზად მოჩიტერომებული ძეგლის აშენებას.

ვახუშტის სიტყვებით, „აჩაბეთის დასავლეთით
არს, მთაში, თირის მონასტერი, უგუმბათო, არამედ ფრიად
კეთილშენი, კეთილის აღვილს, ზის წინამძღვარი“ (კვ.
76).

ვახუშტიამდე და მის შემდეგაც თირის მონასტერი წყარო-
ებში არ იხსენიება, არც მისი ცეოგრაფიული სახელწოდება
არის ცნობილი.

მონასტრის ტაძარი ნაგებია რუხი ცერის ქვაფიქლით, მი-

სი ფანჯრებისა და კარების საპირეები მოჩიტერობულია
წნული ორნამენტებით, კარგი ნახელივია. ტაძრის აღმოჩეულება
თას ფასაზე მოთავსებულია ჩიტერომიანი დიდი პუქების მიმართ
ჭურთმიანი კუშტეულოთ.

ტაძრი ერთნავიანია, უგუმბათოა და მაღალთაღოვანი. ტაძ-
რის ფართობი 6X7 კ. მ-ია; სიმაღლე 15 მ.

კანკელი ქვისაა, ლამაზალ მოჩიტერომებული. ტაძრი მო-
ხატულიც ყოფილია. მხატვრობა შერჩენილი საკურთხევლის
უაზე. გამოსახულია მდიდრულ ტაზრაზე მფლობელები ღვთისშმო-
ბელი, კალთაში უზის ყრმა იყსო, გვერდზე თრი ანგელოზია
მავრებრებლის პოზაში. ამ მხატვრობას XIX საუკუნეს მია-
კუთვნებენ.

ეკლესიის ჩრდილოეთი ეკვდერის კარის თავზე წარწე-
რია, მარტი ბრი თ ს ე ს თქმით. დიდი სიძნელით ამოუკითხევა
დიმი ტრი მელვინ ე თ უ ხ უ ც ე ს ს. წარწერაში მოხსე-
ნებულია კუვდერის მიმშენებელი და უზის თარიღიც.

ა. შეწევნითა ღეთისათა, მეოხებითა თავ-დების ღვთის-
შმობლისათა, ჩვენ თქმავიდებ, მრავლევის ეპისკოპოზიან ფი-
ლიპებ და არდაშელ, და ძმა-მან ელისბარ, ავაშენეთ საყდარი
ეს წმიდასა ნიკოლოზისა, სულის ჩვენისა სახსრათ. ოდეს
ბელიერის კელმწიფისაგან ჩვენსა ნათესავთა სასაფლაოდ, სამ-
კუდრითა და სამამულოდ მოსცემოდა ეს მონასტერი. მამა-
ბაპიანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა, და ეს
კედლერი ავაშენეთ, სასაფლაოს მოუმატეთ ჰქეს ტი: (1622 წ.).

ამ წარწერის მიხედვით ეს მოხსენიებულ თქმავიდებს
ხელმწიფისაგან სასაფლაოდ და სამამულოდ მოცემული პეტ-
ნიათ ეს მონასტერი, სადაც იმარხებოდნენ მათი ძამა-პაპიანი და

1662 წელს სასაფულაოსათვის შეუმატებით (მოუნიშნულათ) ნიკოლოზის სახელობის ეს ეკვდერი, ოღონდ არ იყოს ჩათქმითი, როდის და რომელი შეფისაგან მიეცათ შემთხვევაში ასტერი, რომ შესაძლებელი იყოს იმ დროს ჭარბები. წარწერაში ასც მონასტრის ადგილმდებარეობა ნაჩვენები.

ამავე მონასტერიში ვახტანგ VI, ქართლის გამგებელი, თავის აფარებდა და მან იქვე დაასაფულავა თავისი ვაჟი როსტომი. ამას მოწმობს შიგ ეკლესიაში ღლებდე დაცული როსტომის საფულავის წარწერა: „ყოვლად ქებელის მეფის აჩხილისა და დიადად სახელოვანის ქართლის მეფისა ვიორგის ძმის ყოვლად შემკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ, ვიყავ სამკუიდროსა მამულსა ჩემსა ხოუელსა ამას, რა-ოდენთამე წელთა, და მიიცვალა ძე ჩემი პირმო, ბატონიშვილი როსტომ, და დავთაც ეკლესიასა ამას შონა, სამკუდროსა მამულსა ჩემსა, ქრისტეს აქეთ ჩქმთ“ (1689)

ამ წარწერიდან ირკვევა, რომ თიჩის მონასტრის მამული სამეფო ყოფილია, ოღონდ წარწერაში აქც არ არის მოხსენებული ამ ადგილისა, თუ სოფლის იმდროინდელი სახელწოდება.

თიჩის მონასტერი ღეთისმშობლის სახელზე ყოფილია „შენებელი“. ხალხი მას ღლესაც ღეთისმშობელს უწოდებს და აქ სალოცავად მიღიან ღვთისმშობლისა, ღამეს უთევენ და სხვადასხვა სახის შესაწირები მიაქვთ. — თეთრი მიტულის ნაჭრები, კვევრები და ქვევრის თავები, თვალის კაელები სანთლისა, რეინის საყელურები და სხვა, რომლებიც მიყრილია ტაძრის ერთ კუთხეში.

მას თიჩის მონასტერი იმიტომ დარქმევია, რომ იყო აშევა

ნებულა თირიან (რბილი ქვის) ფენაზე. შემდგომ კა არ არის
კლდეში გამოცეკვეთით მტკიმეებიც (სენაკები), საზაც შემდგომ
უცხოებიათ. მონასტერი კი ლოდოთის ქვით არის ნაჟარებული
ეს საძაღლო მონასტერიდან სამხრეთ-დასავლეთის მშენებელი ჩატყეპა
ბაჩეობს). ტაძარი გადახურულია ქვალიქლით, დასავლეთის
მხარეზე აღვას ტაძრის მოდელი, აღმოსავლეთით — ყოჩის
თავი.

ეზოს დასავლეთ-სამხრეთის კუთხეში დგას სამხრეკლი, ნა-
გებია ამავე რუსი ფერის ნათალი ქვით. მისი ლიაფები შემცე-
ლია ჩუქურთმებით, კუთხებზე აღვას ყოჩის თავები. სამხრეკ-
ლის ქვედა საჩოტელი ოთხეუთხაა, ზედა კი მრგვალია. ქვედა
საჩოტელი გარშემო შემცელია ჩუქურთმიანი კუმტრელებით;
კიჩის თავზე ამოკეცეთილია ასომთავრული წარწერა: „თავხე-
ლიძეთა საოშ და რატის და ასათს და ხელის და მაჩაბელსა და
შოთაძელთა მათთა შ—ნ (შეუნდები) ლ—მ (ლმერთმა). ა—ნ
(ამინ)“.

ამ წარწერის მიხედვით სამხრეკლიც XIV საუკუნეში უნდა
იყოს აშენებული. მასში მოხსენებულია მახაბელი, რომლის
გვარიც პირველად გვხედება XIV საუკუნის ბოლოს, თემურ-
ლენგონ შრიმოლებში (ქართ. ცხოვრ. II, გვ. 237, ახ. შენი-
შვნა).

სამხრეკლის თავზე, დასავლეთით, გამოკეცეთილია კუჭმო-
გრეხილი გველი (გველეშაპი), რომლის პირისპინ დგას მიმა-
კაცი. რომელსაც მარჯვენა ხელი გველის თავზე უდევს, მარ-
ტენაში კი დანისებური იარაღი უკირავს გველის მოსავლავად.

ტაძრის ეზოში, ჩრდილოეთის მხარეზე, საცხოვრისი სა-
თავსებია, რომლებიც დაშლილია და ნანგრევს წარმოადგენს.

3. სერგო მუხლასთავი

შონისტერს ჩამოუდის წყალიც—თირის ხევა. მონაცემების მიღამოს ფართობი მოიცავს ნახევრი პეტრის.

თ ა მ ა რ ა შ ე ნ ი მდებარეობს აჩაბეთის მარტინის ქადაგზე, ქადაგზე და მოსაელეოთ, ცხინვალ ჩავის შეჩაგვის მარტინის შხოვის, დიდი ლიახვის პირის... სოფელი ვაკეზე, ვაშლილი და საქმოოდ დიდი ფართობი უკავია. ვახუშტის სიტყვით, „კვალად ცხინვალს ზეით არს, ლიახვის დასაელით, თამარაშენი, მცირე ქალაქი. მსხლობელი სომეხნი, ურიანი და ქართველი“ (გვ. 76).

დღეს აქ „ურიანი და სომეხნი“ აღიარ ცხოვრისენ, — არიან მაჩაბლები და სხვა გვარის ჩამოსახლებული ქართველები, დაიხლოებით 200 კომლი. მაჩაბლები აქ გადმოსულან აჩაბეთიდან. ვიქტორ მაჩაბელს აქ, ლიახვის პირის, აუშენებია კოშე და სახლი. საბაშმინდაში დასახლებულან ზაალ და ბორის მაჩაბლები, მერმე კი აქ გადმოსახლებულან. ზაალის ჩამომავალი მაჩაბლები ახლა ზაალიშვილებად რჩერებიან. ზაალ მაჩაბლის სასახლე დაშლილია, დაზისნილია სიძირკვლის კიდელი და ბუხარი. სასახლეს გარშემო ჰქონის ღია აივანი, ლამაზაუმოსუქურთმებული სვეტებით. ამ სვეტებიდან ოთხი სვეტი წამოუდია ექვთ. თავისშვილს სივართვეების მცხეუშმი, დანარჩენი სვეტები ცხინვალის მუშეუშმი ინახება. ზაალის ამ სასახლეში დაბადებულა ეძო მაჩაბელი; აქური მაჩაბლებისა ყოფილი მამულები ცხინვალიდან როკა-იმერეთის საზღვრა-მდე.

გადმოცემით, თამარაშენი თამარ დედოფალს აუშენებია, მის იგი პატარა ქალაქად უქცევია, ვაჭრობის წარმოების მიზნით ებრაელი და სომეხი ვაჭრები გადმოუსახლებია. 3 ლა-

ტონ ოთხელიანიც იც მავე აზრის გამოიტკიცამს: მამის სახე
ვით, თამარაშენი დააპირსა თამარ მეფემ და ქალაქი იყო, არა
სულანის მეფობისას ჭალალედინმა დაანგრია და ჩერქეზული
ფელით.

მაგრამ შემდეგშიაც იგი პატარა ქალაქად ითვლებოდა, რო-
გორც ამის ვახუშტიც აღნიშნავს.

როდესაც ბარძიმ და ზაალ მაჩიაბლები საბა წმინდიდან აქ
გადმოსახლებულან, თამარაშენის მამული შეუსყიდიათ, ებრა-
ელები და სომხები კი ცხინვალში გადასულან. ებრაელთა ნა-
სახლარიდან მოუკერიათ საფლავის ქვები ებრაული წარწე-
რებით და ლიოხების პირის ამ ქვებითვე აუშენებით წყირი.
წარწერები ამ ქვებს ახლაც ემჩნევა. ღლეს აქ შემონახულია
ვის მაჩიაბლის სავმაოდ დიდი სახლი, რომელშიაც სასოფლო-
სამეურნეო ტექნიკურია მოთავსებული. ამ სახლზე მიშენებუ-
ლი ყოფილა ვანო მაჩიაბლის პატარა სახლიც.

თამარაშენის მახლობლად სოფ. ხეითია. სოფელი მო-
ურიოლია ფა რამდენიმე უბნად არის დაყოფილი. ვახუშტის
ეს სოფელი დასახელებული აქვს ამ ხეობის სოფლების სიაში,
ავრეთვე აღნიშნულია ჩუკაშედაც, ოღონდ მფებარეობის გვი-
გრაფიული აღწერა მოცემული არა აქვს. (ვ. 50). ამ არის
ძელცხოველის ეკლესია, რომელიც აუშენებულია სოფლის თავ-
ზე, ერთ მაღალ მთაზე. იგი დაფარულია მუხის ტყით, ეზოში
დგას ბზის ხე და ერთი დიდი უბნეფარიც. ეზოშიცეა ჩატარ-
ლი საზედაშე ქვეერები.

ეკლესია ქვითყიჩით არის ნაგები, მომცრი ზომისა და
დარბაზულია. კედლებში ჩატანებული აქვს ჩუქურომიანი ქვე-
ბი, სამხრეთით მიშენებულია აგურის ეკვდერი, რომლის ზე-

მოთ გამართულია სამრეკლო. ეკადერის ბოძის-თავის და
შესასვლელი კარის თაღი შემუელია ჩექერითმიანი პატიონი.

ტაძრის დასავლეთის მხარეზე ყოჩის თავები და მარცხენა მარცხენა მდებარეობს ბერძნების მიერთებით. ეკადერის გევგმა.

ეკადერის ეს ჩექერითმები და ქანდაკებები, შესრულების ტექნიკით, მასილითა და ხელოვნებით ძევლია და არ ეხაძება ტაძრის ნავებობას, რომელიც შედარებით უფრო გერიანდელია. ხალხური გადმოცემით, ძელცხოველის ეკადერი სათათ-რეთიდან არის გადმოტანილი; ჩექერითმიანი ქები, მართლაც, სხვა ადგილიდან უნდა იყოს მოტანილი და იმ ეკადერიაში ჩა-ტანებული.

შესაძლებელია, ძელცხოველის გვარი და ჩექერითმიანი ქები აქ ს. იცხვიდან იყოს წამოღებული, როდესაც XV—XVI საუკუნეებში ეს მხარე ოსმალებმა დაიპყრეს და გამოპმაღიანების შიშით ქართველობა იქიდან გამოიხიზნა ქართლში, თან წამოღეს თავისალებისაგან დანგრეული თავიანთი ეკადერიების მომუქერითმებული ნაწილები და აქ აგებული ეკადერის კედ-ლებში ჩაშენეს.

ძელცხოველი აქ ძლიერ ხატად ითვლებოდა და, კისაც მყინვავის ჩეენებით, მისი მიზეზი გამოუვიდოდა, სალოცავაც ძელცხოველში უნდა წასულიყო.

ეკადერის სამხრეთის კედელთან პყრია გატეხილი ქვევრები, რომლებსაც საღმრთო ქვევრებს უწოდებენ.

ძელცხოველის მლოცვეს ვენახი თე ჰქონდა, იგი ვალდებული იყო აქ საზედაშედ ღვიანო მოეტანა. ვისაც უნახი მო-ცულებოდა, იგი საზედაშე ქვევრს ამოილებდა და ძელცხო-ელში მიიტანდა.

წინათ ძელცხოველი განთქმული ყოფილა თავისი სამკაულები/ძელით. ვინც მის კარზე მოვიდოდა, მის თავისი სამკაულები/იქვე უნდა დაეტოვებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩერტვები/ველი მას „დაამინიჭებდა“.

ძელცხოველის ეკლესიაში ქალი ვერ შევიდოდა, — ხატი არ უშევებსო. მავედრებელი ქალები ეკადერში დაებოდნენ და იქ ხატს სანთლებს უნთხებდნენ. ღორის ხორცის მოტანა და კამა ძელცხოველში აქრძალული ყოფილა. ვინც ღორის ხორცს სჭამდა, მას მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეეძლო ძელცხოველში სალოცავად მისვლა.

მღოცავი ძელცხოველში სამშაბათობით მიღიოდა, ხატობა კი წელიწადში სამჯერ იმართებოდა: იანვარში აქ იცოდნენ „ბოსლობა“, შემდეგ — „აძალლება“ და მესამე — „მარიობობა“.

ძელცხოველი მაღალი მოის წვერზეა მოთავსებული. მისასვლელი გზა დახრამულია და ძნელი მისადვომი. მღოცავი ურმით დიდი გაქირვებით იღიოდა, ღამით იქ რჩებოდა, ზეარავად მიძყავდათ ხატები და მამლები. დათქმის მიხედვით მღოცავები ასრულებდნენ სხვადასხვა რიტუალს. ზოგს თეთრი პერანგი ეცავა, ხელში ეკირა თეთრი მამალი და ეკლესის სამჯერ შემთხველიდა, გზაზაგზა შეჩერდებოდა და ეკლესის კუთხეებს ემთხვეოდა, ძელცხოველის წმ. ვიორგის შველია და მცარტველობას ეკელრებოდა. მესამეწერ შემოვლის შემდეგ მავედრებელი ეკადერში შეღიოდა, ხატს სანთლებს აუნთხებდა და მამალსაც გააფრინდა. გაფრინილი მამალი ხატისა იყო და, ვისაც სურდა, მამალს ის წილებინდა (წეველებრივ მამლებს ეკლესის მნათეები იქცერდნენ). ეკლესის კარებთან იდო რკი-

ნის დიდი ჭაჭვი, ეგრეთ წოდებული „დაღიანება“¹. 32 კილოგრამაშიც იწონიდა, მას საყელერიც პქონდა საუკუნეების ორივე ნაპირზე გაყრილი იყო ერთი წერტილში ჭაჭვი, თუმცაულის სიგრძე 1 მეტრზე მეტა. ამ ჭაჭვაში შემოიტავნი რიგზე რიგობობით მიღიოდნენ, აღდებდნენ და მის საყელერს კისერზე გადაიდებდნენ; ვისაც მისი იწევა გაუკირდებოდა, სხვები შეეშეელებოდნენ. ზოგი ჭაჭვს მელავებზე გადაიდებდა ან მხრებზე გადაიდებდა და ეკლესიას გარშემო სამჯერ შემოუელიდა.

ამ რიტუალის შესრულების შემდეგ მლოცველები სუფრებს გაშლიდნენ, დაიწყებოდა პურიბა, სმა და ერთმანეთის დალოცვა. ამის მოძყვებოდა სისლერა, ცეკვა და სხვადასხვა თამაშობანი. ხეითში, ლიახვის პირას, მაღალი ითხევთხა კოშკიც დგას. მას თავი მოჩდეული აქვს. კოშკი ბარიში მაჩიბელს ეკუთხნოდა და მისი სახლიც იქვე ყოფილ.

საბა წმინდა². ხეითის ქვემოთ, ლიახვის მარცხენა მხრეზე, საბა წმინდის მონისტერია. იგი გაშენებულია დაეკუპაზე, ჩამოუდის წყაროს წყალი. ეს მონისტერი ვახუშტიანიშნის აღნიშნული აქვს რეკაზე და მოქლედ აღწერილიც; მისი სიტყვით, „მონისტერი საბაწმინდა არს გვმხატიანი, კეთილშენი, კარგსა დაგილსა და შეენიერსა, ღიღმშენი და აუ ხეცის სამარ. მის ზეით, მთაში არს უდაბნო, მაღალს კიდელსა შინა გამო-

1 საბა წმინდა, ანუ წმ. საბა საეკლესიო მოღვაწე იყო. ამ სახელით რამდენიმე პირია ცნობილი; მათ შორის კვერაზე სახელგანვითაველია საბა-წმინდა, კაბადიურელი (+ 532). მან საცესტინაში დაიბარი მონისტერი, რომელიც ქრისტიანელ იღმოსაველომი მართლმადიდებლიბის ცენტრია იყო. პანე შეაღვინო საეკლესიო ტიპიონი და სხვ.

კეთილი ქვაბნი ეკლესიით. აქე არს კარეალი, სადაც ზამოგორი
დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს და ხმარობნ ზაფ,
ხულ ყინულად” (გვ. 76).

დღეს მინასტერი და მისი გარემო ნანგრევს წმინდაშეგენტის
მას უკირავს დაახლოებით ნახევარი ჰექტარი ფართობი. გა-
ლავნით ყოფილა შემოსლულეული. ამაც ზოგან შეჩენია მი-
სი ნაშთი. შეაში დგას ეკლესია დუღაბით ნაგები და ჩუხი
ფერის ქვაფიქლით მოპირკეთებული. იგი დაჩაბაზული ფორმი-
საა, გუმბათი არა აქეს, მაღალთაღოვანია. საკურითხევლის მხა-
რე უკვე მორცეულია და დანგრევაშეა მომდგარი. სამხრე-
თით, ჩრდილოეთით და დასაცელეთით აქეს მინაშენი. ეკლესიის
ელები შეინით სალტებითაა შეკრული. აქეს საჩუმლები.
ეკლესიის ფართობი 6×12 კვ. მ-ია. ჭერი თაღოვანია, გადა-
ხურული ლამიანი ქართველი ერამიტით. მინაშენის სიგრძე 5 მ.,
განი—3. დასაცელეთის მინაშენს აქეს კარი, საიდანაც შედი-
ოდნენ ეკლესიაში. კარის თავზე მოჩუქურთმებული როჩერი-
ბია ჩასმული. კარის ოჩივე მხარეზე მოთავსებული შერთალი
ხუცური წარწერა. სამხრეთის ფასადზე თაღიანი ფანჯარია,
თაღოვანი წრეებითა და ოჩივე მხარეზე ჩუქურთმიანი კუმ-
ტილით. ამ მხარეზე ამოქრიალია გაურკვეველი წარწერა. იგი კ.
მინაშენშე, დატანებულია კარი თავმოჩუქურთმებული სკე-
ტით. ეკლესიის სახურავზე და შიგ, მინაშენში, ამოსულია
დიდირონი ხეები.

საბა წმინდის ეკლესია ძეელია, — იგი აშენებულია X საუ-
კრნეში, განუახლებიათ და აღუდებიათ XIV საუკრნეში. ეკ-
ლესია მოხატულია ყოფილა. ამაც მხატვრობის კვალიც აღარ
ერწობა.

ვირნახული მოგვეცითო. ოჯახის პატრონი აძლევდა პურს,
რომელსაც შემდეგ ერთად მოაგროვებდნენ და გაყიდდნენ. ამ
ფულით სანთელ-საქმეველსა და ბრინჯს ყიდულობდნენ. სუფ-
რას ქალები და კაცები ცალ-ცალკე გაშლიდნენ და საღმრთოს
შეიცეოდნენ.

ე რ ე დ ვ ი პატარა ლიახვეზეა, ცხინვალიუან 6 კილომეტ-
რის დამორჩებით.

აქაური მოსახლეობა ძირითადად შებოსტნეობასა და მე-
საქონლეობას ეწევა. სოფელი გაერთიანებულია საბჭოთა მე-
ურნეობაში და შეძლებულადაც ცხოვრობს.

შეა სოფელში დაცულია ისტორიული ძეგლი — ციხე-გა-
ლავანი, რომლის შეა მოედანშე დგას წმ. გიორგის ძეგლი
ეკლესია. გალავანი ნაგებია რიყის ქვით — დუღაბით. მისი
ფართობი ნახევარი ჰექტარზე მეტია. გალავანი ზოგან მორ-
ცვეულია. შემდეგ მიუშენებით ფიტჩელი ფაზული, საღა-
ხე-ტყის მასალა აწყვეია. გალავნის სიმაღლე ზოგან რეა მეტ-
რამდე, კედლის სისქე — 1,50 მ.

გალავნის ოთხევე კუთხეში თხის კოშკია მოთავსებული.
შესუთე კი აღმოსავლეთის კედელშია ჩაშენებული. გალავანი
მომზრგვალებულია, სამხრეთისა და დასავლეთის კოშკები თოხ-
კუთხედია და ნახევრიალ ჩამონგრეული. კოშკები სამსართუ-

ლიანია. მათ ქონგურები არ შეჩენია, სათოფურები და კრელები კედლებშია დატანებული.

გალავანს შემოსახულები დასავლეთის მხრიდან აქტივული შედარებით კარგად არის შემონახული სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან კოშკი, რომელზედაც მიშენებულია საცხოვრებელი სახლი. გალავანი და კოშკები გარედან ბურჯებით არის გამოვრებული. გალავანს აღმოსავლეთ-დასავლეთით ჩამოუდის პატარა ხევი, რომლის წყლითაც გალავანი მარაგდებოდა.

გალავანის შიგნით, მოეფანე, დგას ძეელი ეკლესია წმ. გორგი¹. ვახუშტი აღწერით, „ქრისტინვალის აღმოსავლეთ პატარა ლიახვებისაენ, ას ერედვს ციხე და ეკლესია მას შინა, წმ. გორგისა, სასწაულიანი“ (ვე. 76). ერედვის ეკლესია წარმოადგენს დარბაზულ მოზრდილ ნაგებობას, რომელსაც ოთხივე მხრიდან უკავის გარშემოსავლები (დახურული დერეფანი). ეკლესია ნაგებია თლილი, კვადრატული ფორმის მოკარდისფერი ქვაფიქლით. მასი წყობა მჭიდროა და ლამაზად მოპირეობებული, გადახურულია კრამიტით. შიგ შეთეთრებულია, კერი თალოვანია და ქვის საღრმეებით შეკრული. კარი აქვს სამხრეთით, დასავლეთის კარი ამოქოლილია. საჩქმლებით ერთი აღმოსავლეთით, მეორე დასავლეთით და ორი სამ-

¹ ერედვის წმ. გორგის ეს ეკლესია უჩილად განხილული და გამოყენები აქვს. ა. მეტიაშვილს თვეის შრომაში „ერედვის 906 წლის ხუროთმომლებრელი ძეგლი“, ქართული ხელოვნება, № 4, ობ., 1955, ვე. 101—136. ლაზოვილი აქვს ნახაზ-ნახატები და ტაბულები ფოტოსურათებისა. ამის გამო ჩვენ აյ მას მოკლევ შევვხებით.

ხრეთის კედელში. საუზრუნველი ამაღლებულია მარტინი და გამოსახული არიან წმინდანები, სლავური წარწერით შოთა რქოვანი და წარწერები ას ეტყობა. კედესია დაშიანებული ას არის.

ეკლესიის გარშემო მინაშენი (ჯერეფანი) ნაგებია თლილი ქვით, მისი სიმაღლე — 3,80 მ. მინაშენს კირი აქვს სამხრეთის მხარეზე, საიდანც ეკლესიაში შესასვლელია. კირის თავზე გამართულია ჩუქურთმიანი ქვა. მინაშენში დატანებულია ხარკობებიც. გარე კედელზე ჩატანებულია ორი ქვაფიქალი, რომლებშედაც ამოკეთილია ყვავილოვანი ჯვარი.

მინაშენის შესასვლელი კირის მარცხნივ მოთავსებულია მთლიანი ქვის გვან გამოთლილი მრგვალი სვეტი, რომელშედაც გამართულია ოთხკუთხა ქვა (ქუდი). მასზე ამოკეთილია კერცხის ფორმის ბურთულები, რომლებსაც ძუძუს ქვებს უწოდებენ. ამ სვეტზე მიშენებულია დერეფნის კედელი და გარედან კარგად ჩანს რეა ცალი ძუძუს ქვა, შეგნით კი მოყოლილია ექვსი ცალი. ერთი გატეხილია. სვეტის სიმაღლე 1,30 მ. სვეტზე საქმიანდ ერცყალი ასომთავრული წარწერაა ამოკეთილი, რომლის ქვეშ ჩუქურთმიანი არმია. ამ ფრაგმენტური წარწერის ტექსტი ასე იყოთხება:

1. ხახელითა ღმრთისათა (მამისა და ძისა და) ხულისა წმიდანითა მეოხებითა წმიდისა ღმრთის

2. მშობელითათა, შეწევნით წმინდისა გორგასითა ქილმწიდებასა ღმრთის დამკარე

3. ბო(უ)ლისა წმინდისა კონტანტინე მელისასა, რომელმან ბრძანა და ჩვეიდა პერეთს

4. შიგან, პერთა შეფეხ ვაქცია და მუნიც მშეოდნობის
ცა ცისკრიფცია

5. ალავერდს ილოცა; მწუხარი ბრეძას გადაქომი მიქროფილი
კულა ავიდა ვეჯინისა

6. ციხე დალეწა ქართლს; შინა უფლისძას ტბელისა ივა-
ნება, მთავარ

7. ცისკროპოსობას სანატრელისა ყესა ჭრითა მიხილა,
განზრახვითა ნაქონის

8. ზელისა ხტეფანე ცისკროპოსობათა ძალითა შეწევნითა
მოყოლეობათა

9. მე თოვდოჩა თაულამხმებან დავდე ხაძირეველი, წილ-
ნი იუვნეს ხფი ქრონიკ.

ქრონიკის ხფი-906 წ.“

ეს წარწერა პირველად იმოიქოთხა და დაბეჭდა პროფ. ვ.
თოფურიშვილი. (საისტორიო მოამბე 11, 1924 წ. გვ. 137).

შემდეგ ამავე წარწერის ტექსტი უფრო სრულიად და ზეს-
ტად ამოიყოთხა ჩ. მეფის აშენებლი. ამ წარწერაში ერედების ეპ-
ლებისა აშენების ზესტი თარიღია მოკემტელი. აგრეთვე მოხ-
სენებულია საყურადღებო ისტორიული ამბები და ისტორიუ-
ლი პირები. ოღონდ გარეულები ნათევამი ის არის, თუ კის სა-
ხელშეა იგი აშენებული. ერედვის მოსახლეობა მას ღვთის-
შობელს უწოდებს, ხოლო მონაშენის სამხრეთ-აღმოსაველე-
თის კუთხეში მიშენებულია წმ. გომიგის ნიში. გომიგობის
მღლოცველები ამ ნიშთან მოდიოუნენ, მოპქონდათ სანთელ-სა-
წირი, ღვთისშობლობის კი ეკლესიაში ღოცელობდნენ.

შემდეგ მოხარისხილია აუხაზთა მეფის, კონსტანტინეს, პე-
რეთს გალაშქრებასა და ვეჯინის ციხის თხორებაზე.

საქართველოს ისტორიაში ეს იყო სამთავროებრივი ბრძოლების პერიოდი გაერთიანებისათვის (IX—X ს). ამ ბრძოლაზე 904 წელს გამარჩვა აფხაზთა მეფე კონსტანტინებმ, რომელიც უკანასკნელის დამყრიბის შემდეგ გადაუიღა პერეთ-კახეთის—წილაჭაბუში ში ნათქვამია, რომ ეს მოხდა „ქართლსა შინა უფლობასა ტბელისა ივანესასა“¹.

ამ პერიოდში ქართლში, მართლაც, იყვნენ ტბელი აზნაურები, რომელებიც ქართლის სხვა აზნაურებთან ერთად იბრძოდნენ აფხაზთა მეფეების გაერთიანების მისწრაფების წინააღმდეგ.

მემატიანეს სიტყვით, აბხაზთა მეფემ, გორგომ, ქართლის განვებლად დასეა თავის ძე კონსტანტინე, რომელიც ქართლის აზნაურების წაქეზებით მამის განუდგა „ძებნად მეფობისა“, მას მომხრედ „ტბელნი და სხვანი მრავალნი აზნაურნი“ ჰყავდათ. ეს ჯერად ქვეთის ტბელის მეთაურიობით ბრძოლას განვარძობდა ბავრატ III მეფობისას. მემატიანის სიტყვით, „ბავრატ გარდმოვიდა ქართლს, რათა განავნეს საქმენი დაშლილნი ქართლისანი. ხოლო მას ეძღვა აზნაურთა ქართლისათვის რომელთამე არა ენება გარდამოსვლა მისი, რომელთვი თითოეულად განავებდეს საქმეთა ქართლისათვის, იწინაშეღერეს ქვეთას ტბელი, მიეღიდეს და შეებნეს, იოტნეს ქართველნი“.

როგორც ვიცით, სახელწოდება ტბელი წარმოიშვა ტბეთიდან, რომელიც შავშეთში იყო (შემო ქართლი). მემატიანის სიტყვით, „ამოტ კუხმა აღაშენა ტბეთი შავშეთს, დასუა ეპის-

1 ქართლის ცხოვრება, 1, 1955 წ., გვ. 264; ივ. გვიანების კართველი ერის ისტორია, 11, თბ., 1914 წ., გვ. 383.

კოპისად სტეფანე, ხოლო საბა მტტევარ ეპისკოპოსმან შე-
ლომლად ტბეთის ეკლესიასა აღაშენა სიმაგრე და სახელ-
ურიერთების შესახებ დეა — სუეტი».

ტბეთიდან გადმოსული დიდგვაროვანი პირებიც ატარებ-
დნენ ტბელის წოდებას. ლიახვის ხეობაში გადმოსულებიც
მტტევარებად იწოდებოდნენ. აზნაურთა ეს გვარი შიდა ქართლ
-ში უნდა დასახლებულყო ასახთა ბატონობის პერიოდში,
როდესაც ქართლში მეფობა ვაუქმებული იყო და დიდგვარო-
ვანი აზნაურები ბატონობდნენ, აյ მოტანილი მემატიანის ცნო-
ბებით ისინი IX—X საუკუნეებში უკვი დამკვიდრებულან
ლიახვის ხეობაში და დიდგვაროვან აზნაურთა დაწვევებას მე-
თაურობდნენ საქართველოს ვაერთიანებისა და ერთმეულობის
დამყარების წინააღმდეგ. მათ აქ, ლიახვის ხეობაში, საცხოვ-
რის აღვალსაც ეწოდა ტბეთი, რომლის სახელსაც ეს სოფელი
დასაცავი ატარებს. იგი ერგდების მახლობლად მდგბარეობს,
ცხინვალიდან დაშორებულია სამი კილომეტრით. ამას მოწ-
მობს სოფ. ტბეთში ბორცვის ფერის დაშლილი ეკლესის წარ-
წერები, რომლებშიაც მოხსენებული არიან: ქავთარ ტბელი
(ორჯერ), ივანე ტბელი, ოქროპირი და დავით ტბელი.

დიდგვაროვანი აზნაურნი, ტბელი, ლიახვის ხეობაში დამ-
კვიდრებისას, IX—XI საუკუნეებში, ხელს უწყობდნენ თავი-
ანთ სამფლობელოებში ეკლესია-მონასტრების შენებლობას,
რასაც მოწმობენ ამავე პერიოდში აქ აშენებული ძეგლები:
ერელვის წმ. გომარგი, ხეოთის საბა წმიდა, ნიქოსის მცირე
გემბათიანი საყდარი, ტბეთის ბორცვის ჭვარი; დოჭოთის
ცხრაკარა, აგებული ივანე ტბელის მიერ, და სხვა.

XI საუკუნის შემდეგ ლიახვის ტბელების შესახებ ისტო-
6. სეჩვი მაკალეათა

რომ დუმს და ატც ისტორიული ქეგლები შეტყუდებული იყვნენ. მიკრომ შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საქართველოს გაერთიანებისა და ერთმეტობის დამყარების შეზღუდვა მართლაც შინაგანი დამარცხებული დიდგვაროვენ ანნაურთა შეთავერი ტელი-ბი აქვთან სხვაგან გაიხიზნენ და თვითითი სახელწოდება — ტელიც — სხვაგვარად შეცვალეს.

აქ მოტანილ ისტორიულ წარწერასთან ერთად საყურადღებოა ერედვის სკეტის თავზე გამოქანდაკებული კავრცხის შსგავსი ბერთოლები, რომლებსაც ძუძუს ქვებს უწოდებენ.

ეს ქვები შებოლილია აქ დანათები სანთლებისაგან და ვაკონილია ერთო-ერთით: ხალხის რწმენით, ძუძუს ქვები რაის მომცემი იყო და ჩიქედაშირალი ქალები თერმე აქ მოდიოდნენ, ღვთისმშობელს რაის მოცემის ევეზრებოდნენ, სანთლებს უნთებდნენ და ზედ ერთის უსვამდნენ.

ასეთივე დანიშნულების „ძიქეა“, ანუ ძუძუს ქვა რაის გავხეთში, სოფ. მერგახევში, საღაც ურძეო დედები ეველრებოდნენ რაის მოცემას, მიშქონდათ სანთელ-საწირი და სხვ. ასეთივე გამოსახულების ძუძუქვა დაცულია ბრეთის ვალესთაში.

ერედვის ეკლესიას თავდაპირეელი სახით ჩვენამდე აჩ მოულწევია, — იგი გაღაყენებული იყო XIII—XIV საუკუნეებიდან, განსაკუთრებით მისი სამხრეთის მხარე შესასელელი კარითურით.

ერედვი იდგა თეიმურაშ მეფე, როდესაც იგი აქვთან განდგომილ გივი ამილახვას ებრძოდა.

ერედვი იცოდნენ „კაეთობა“. მისი ნიში იდგა სოფლის

დასაცელეთით, პატარა გორჩებე (ბორცვზე), საღაც საცელების
მიღიოდნენ აღდგომის ორშებათს.

კაეთობას ლოცულობდნენ: ბოცვანი (ზოცვაძე^{მარია}),¹ უკავები
ლაინი (ტაბლიაშვილები), ბერუაშვილები და მათნაზარქვების
სხვა უბნებიდან.

მცხეთის კეორთბი ერედვეში 18 მაისს იცოდნენ. სა-
ლოცვად მოდიოდნენ მეზობელი სოფლებიდანაც. მისი ნიში
და პატარა ეკლესია დასაცელეთის მთის ქედზე დგას. იგი და-
ფუძულია ხატის ტყით. ხის მოკერა და სახლში მიტანა არ შე-
იძლება — ხატი დაგვამიშეზებსო. გაღმოცემით, ერედველებს
ზეარა (შონივერი) მოცუვანიათ საწირიში მცხეთს, იგი იქიდან
გამსაულა და ერედვის მინდობრზე დაწილილა, საღაც ნიში
აუგათ; შემდეგ ქადანაც წასულა და ქედზე შემდგარა, სა-
ღაც იგი დაუკავთ, მცხეთის ჯვრისათვის შეუწირავთ, ამ აღ-
გილას აუგით პატარა საყდარიც, რომელსაც მცხეთის ჯვრს
უწიდებდნ. კვართობა ქართლში გაერცელებული სალოცვი
იყო, მისი ნიშებიც მრავალ სოფელშია აღმართული².

შერთული იქ დად ლიახებს პატარა ლიახვი შეერთვის
და მის ვამო, ვახუშტის სიტყვით, მას ეწოდა შერთული
(ვვ. 75). შერთულში ცხოვრობს 60 მეტრზრი. იქ დაცულია
სამსართულიანი ქვისტირის კოშკი, ფორმით მრგვალი, შიგვეა
გამართული ასასვლელი ქვის კიბე. ისა დაღიან-ერისთავის ცა-
ხეს უწიდებენ. კოშკი სოფელს დაკების თავდასხმისაგან იცავ-
და. კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით დგას ლეონიშვილბლის

1 ს. მაკალა ათა ა, კავთონის ხეობა, თბ., 1960 წ., გვ. 3.

უმნიშვნელო ქვიტყირის ეკლესია. ამ სოფლის გვარებით მოიჩინეთ დადიანისძენი, რომელიც დადიანების შთამოწლობად ითვლებიან. მათი წინაპარი ყოფილა სმიდერულყავნ ვამოქცეული გორმივი დაჯიანი, რომელსაც ჰქი კუკი წყვილს ქვედომია და ვორმი ვამოქცეულა. ვორიდან იგი მაჩაბელს წამოუყვანია, შეჩრთულში დაუსახლებია და ეს გვარი — დადიანიძენი — აქ მომრავლებულან.

სოფ. ვარიანი. შეჩრთულს ქვემოთ ვარიანია. იგი მოზრდილი სოფელია. ვახუშტის აღწერით, „ვარიანს ზეთ ერთვის ლიახვს აღმოსავლეთით პატარა ლიახვი. დასავლეთიდამ ლიახვს ერთვის ვარიანის ფშავი. ამ უშამია შინა იყრიობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი“ (გვ. 75), ვარიანში 260 კომლი ცხოვრობს — აღეაშვილები, ხინანიშვილები, ყაჩუმაშვილები, ურაფუშელაშვილები, სტეფანიშვილები, ავრეთვე იმერეთიდან გაღმოსულები — სირბილაძე, კერესელიძე, ვაგებაშვილი და სხვ. ამ სოფლის შებატონე იმილახვარი ყოფილა. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგია შებალეობა-მეუნახობა.

სოფელი ვარიანი ცნობილია, როგორც დიდი პედავოვის იაკობ გოგებაშვილის სამშობლო, სადაც მისი სახელობის სკოლა და კარგად მოწყობილი სახლ-მუზეუმია. ამ სოფელში ლირსშესანიშნავი სიძველეები არ შემონახულა, არის სამოიდე კოშეის ნანგრევი და ერთი ძველი ეკლესის — „ღვთისმშობლის“ — ნაშთი. დაზინილია მხოლოდ მისი ქვიტყირის ეკლები. ეკლესის ჩრდილოეთის კარიბჭეში მოთავსებულია ასომთავრული წარწერა, რომელიც დაზიანებულია და ძნელი

წასაკითხევი. მასში მოხსენებულია ღვთისმშობელი. ნაგებობა
მიხედვით ეკლესია ძველია. ი. მეგრელიძე მას XII საუკუნეს
მიაკუთვნებს.

ამ ეკლესისთვის 25 ამილს იცოდნენ ღღეობა — ღვთის-
მშობლობა. აქვე სოფლის სასაფლაოა. ზოგიერთ საფლავის
ქვაზე გამოსახულია გრძელჩიხიანი და უურთმავებიანი მიმა-
კაცი, წოპტობა ქუდითა და მაღალქუსლიანი ფეხსაყმლით. გა-
ლევსილი ეპიტაფიები იშეიათია, ზოგიერთ საფლავის ქვას თა-
რიღი აქვს ქართული ასოებით „ჩყობ“ (1872 წ.) საფლავის
ქვებიც განიჩინება აფგანობრივი საფლავის ქვისაგან; ურევია
იმერეთიდან, კიათურის მხრიდან, ჩამოტანილი ქვებიც, რომ-
ლებიც უფრო მოგრძო, დაბალი და მოთეთხო ფერისა. ამ
ქვებზე ზედ ჭვარია მოკრილი, ქვეშ გამოსახულია ურმის თვა-
ლი, ზედ არის ფრინველი (მტრედი), გვერდზე კი ყოჩია გა-
მოქანდაკებული.

აქვეა იაკობ გოგებაშვილის მშობლების საფლავის ქვებიც.
პირველ მათვანზე იწერია: „ეს ქა დამადო თავისს ძვირფასს
დედას შვილმა იაკობმა. გარდაცვალებული „ჩყობ“ (1873)
წელსა“. შერთულის ქვემოთ, ლიახვის დინებაზე, გორამდე
არ შემონახულა მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები. ზო-
გან არის გვიანი დროის ლექთა თავდასხმისაგან დასაცავი კოშ-
კები და საკულტო ნაგებობანი, რომლებსაც ჩვენ აქ არ შევი-
სებით. (მათი აღწერილობა, სათანადო კომენტარიებით მოცე-
მულია პროფ. ი. მეგრელიძის შრომებში, „დიდი ლიახვის
მარცხენა ნამირი“ (გორი-ერევნეთი).

რესა ეს ისტორიული სოფელი მდებარეობს ძევერის
ქვემოთ, ლიახვისა და მეჩუდას შორის. მას ვახუშტიც აღნიშ-

ნავს თავის რეკაზე, ოდონდ აღწერილობაში და მოყვარული
გასახელებაში მოხსენებული არა აქვს. შესაძლებელია, ვარებ-
ტის დროს იგი მხოლოდ ნათელობი (უკავშიროელმას ან უნა-
ზავა).

მით უშეტეს ჩეხა ლიახვის ხეობის სოფლებში შორის უკა-
ვლესია და იგი II—III საუკუნეთა ქრისტიანული ისტორიაში,
როდესაც ლეონტი მროველი იმ დროის ქართლის მმავის მო-
ვეოთხრობს: „მაშინ მიღარტ და ერისთავმან სპარსთავის მო-
ირთეს ძალი სპარსეთით. ხოლო სომეხნი და ბერძენი და მეგ-
რელნი შოავიდეს შიგა ქართლსა ზედა, რომელსაც ჰქვიან
ლიახვ და მუნ იქნა ბრძოლა ამათ შორის ადგილსა, რომელსა
ჰქვიან ჩეხა, და მოსწყდა ორგნითვე ურიცევ, იძლევნეს სპარ-
სი და ქართველნი, და მოკლეს მიჩრდატ და ერისთავი სპარ-
სეთისა, და მოსრინეს სპანი მათინი“.

აյ ჩეხა ლოკალიზირებულია ლიახვზე, საღავ იგი დღესაც
შდებარეობს; მომდევნო საუკუნეებშიც ამავე მიღამოში ის-
სენიება. VI საუკუნეში, აბიბოს ნეკროსელის წამებაში, როდე-
საც აბიბოსი განსამარეცად (გასასამართლებლად) მიიყვანეს
მარშსპანთან (ირანის მოხელესთან ქართლში) ნათევემისა: „ვი-
თარეა მიიყვანეს იგი (აბიბოს) მარშსპანისა მის ზენა სოფლად,
სოფელსა, რომელსა ჰქვიან ჩეხი და შეკრება იქნა წინაშე
მარშაპნისა“.

როგორც ვიცით, მარშსპანში იგი გაასამართლა და აბიბოსი
აწამეს „გარემოსა ქალაქსა ჩეხისისა“.

აქედან იჩევევა, რომ ჩეხა ყოფილა ქართლში სპარსეთის
მოხელის — მარშსპანის ჩეზიდენცია და იმავე დროს პატარა
ქალაქიც.

მასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ქართლში, გარდა ლიახ-
ვის

ეს ხეობისა, სხვაგანაც იყო აღვილი რეხა (ლეხურის ხეობა-
ში) და აგრეთვე წალკაში, არიალეთის რეხას სახელწოდებით.

საყურადღებოა, რომ რეხაზე ბრძოლა გრძელდება ათწლებაზე ॥
ბატონობის ხანაშიც (IX ს.); როდესაც აჩაბთა შემჩინევებისა
ბა ჩიმოვარდა, ამით ისარგებლეს ქართველმა მთავრებმა და
ერთმანეთის მოწინააღმდეგე არაბთა ჯგუფებს შეიმსრნენ მათ-
ვან თავის დაღწევის მიზნით.

მემატიანის სიტყვით, როდესაც ქართლში შემოვიდა აჩაბ-
თა საჩრდალი მოპარედ ხალილის ძე, მას მიემსრო ბავრატ აშო-
ტის ძე კუროპალატი და მისცა ქართლი: „მამინ ვამოვიდა სა-
მაჟ იმირა ტფილელი ლაშქრითა და დადგა რექს. შეიმნეს რექს
და იბჩოლეს და იყო ბრძოლა ძლიერი მათ შორის“.

აյ მოტანილი სისტორიო წყაროებიდან ჩანს, რომ ლიახ-
ვის ხეობაზე ბრძოლები ხდებოდა რეხაში, რომელსაც სტრა-
ტეგიული აფგალი ეჭირა ლიახვსა და მეჩულის დიდ ვაკეზე.
სადაც იმ დროს დიდი ბრძოლები იყო. ამისთანევე რეხა გო-
რიდან ოთხი კილომეტრითაა დაშორებული, სადაც ლიახვი
მეჩულითურით შეერთვის მტკვარს, რომლის ხეობაზეც გზები
გვდიოდა სამხრეთ-აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიმართუ-
ლებით.

ისეთი სიომარი ასპარეზობით თუ აისწნება, რეხას და მის
მეზობლად მდებარე ნაქარმაგევში (კარალეთში) ისტორიული
მნიშვნელობის თავდაცვითი და საყულტო ნაგებობანი რომ არ
შემონახულა.

სოფ. რეხა გორი-კარალეთის გზაზეა, ლიახვსა და მეჩულს
შორის. მეჩულა მას ჰყოფს ზემო და ქვემო რეხად. ზემო რე-
ხა ლიახვიდან 3-4 კილომეტრითაა დაშორებული. ზემო რეხა

სოფლის ძეელი ნაწილია, სადაც ასი მეკომერია უხუცესობა.
შემდეგ მომზადებული სოფელი მეჩუდის გაღმა გასცემა და
მას ქვემოთა რეხს უწოდებენ, სადაც 150 მეკომერიას ცეცხა.

ზემო რეხსში ცხოვრობენ ღარიბაშვილები, მასრავებელები, ტეშეილიშვილები, თუშებალოვები, ყაყიტაშვილები და სხვ.

ვაკე აღვილია, ეწევიან მებალეობა-მეცენატეობას და მე-
მინდერეობას.

ზემო რეხს ლიახვედან დაშორებულია 3—4 კილომეტრით.
სოფელს ჩამოუდის მდინარე ვარიძულა, რომელიც შეერთვის
ამტრას სოფლის ბოლოს, ამტრა კი მეჩუდას უერთდება გორ-
თან. რეხიდან კარალეთამდე თბილი კილომეტრია.

რეხს მებატონე ყოფილა ერთიანები. სოფელში ისტორიუ-
ლი ძეგლები არ მოიპოვება და მოსახლეობამაც რეხის წარსუ-
ლის შესახებ არაფერი იცის, თქმულებები და გაღმოცემებიც
რეხისზე არ შემონახულა. ეტკომა, ძეელი რეხის მოსახლეობა
წარსულში ამოწყვეტილა. შემდეგ კი, XVIII—XIX საუკუნე-
ებში, აյ სოფელი ისევ მოშენებულა.

ზემო რეხში არის ღვთისშობლის ეკლესია, რომელიც
ნაგებია რიყის და კლდის ქვით. ეკლესია ერთნავიანია, მა-
ღალთალოვანი, რომელიც შეკრულია ქვის სალტევებით. მისი
ფართობი 5×3 კვ. მ-ია, საკურთხეველს შემოჩინენია ქვის კა-
ველი. სამხრეთით აქვს მინაშენი. შიგ შეოთრებულია, მხატვ-
რობა არ ეტყობა.

ეკლესიას შესასვლელი კარი აქვს დასაცლეთის მხარეზე;
ეს კარი მინაშენიდან შედის ეკლესიაში; ეკლესია თავისი ნა-
გებობით ძეელი არ არის — იგი შეიძლება XVIII საუკუნის
ბოლოს მიეკუთვნოს.

ეკლესიას გარშემო, ეზოში, ჩაფლულია ქვეპრები, რომ
ლებსაც შემოდგომით ღვინით იხსებდნენ და „ღვითისმშობლის
სახელაშეს“ უწოდებდნენ; ქვეპრებს თავს გადატელესავტონენ და
და ალდგომამდე ინძხვდნენ. ნაალდგომევს აქ იმართებოდა ქვეპ
ტობა „ეკლესის მეპატრიონეები ამ ღვი-
ნით მლოცველებს უმასპინძლდებოდნენ.“

სალოცავად მოდიოდნენ რეხიდან გამოთხოვილი ქალები,
სოფლიდან გასული მამაკაცები და ნათესავები. მლოცვებს
მოჰყავდათ საკლავები, მოჰქონდათ საწირ-სანთლები და ღა-
მის სათევად ღვებოდნენ, შემდეგ გაიმლებოდა სუფრა, დაი-
ლოცვებოდნენ და თავმოხდილი ქვეპრებიდან სვამდნენ „ღვითი-
შშობლის სახელაშე“ ღვინის. შიგ ეკლესიში ბევრია გამზა-
რული სახელაშე ქვეპრი. სახელაშე ქვეპრებიდან ხატის შიშით
ღვინის ვერავინ მოიპირავდა. მლოცვი ეკლესის გარშემო
შემოახვევდა ბამბის ძაფის ეგრეთ წოდებული „ღვითისშობ-
ლის სარტყლის“ იმდენ წყებას, რამდენიც შეთქმული ჰქონდა.

ნაჭირ მაგევი (კარალეთი) იქვე, რეხასთან, მდებარე-
ობს, ორი კილომეტრის დაშორებით. ძველ ნაჭირმაგევს ღლეს
ეწოდება კარალეთი, რომელიც ტიპიური ქართლის სოფელია
და რამდე თავისებურება აქ ახასიათებს. კარალეთი, დიდი გო-
რიგვარი და პატარა გორიგვარი გაერთიანებულია ერთ სასოფ-
ლო საბჭოში და თანამდე შეკომური ცხოვერის. სოფელს ჩი-
მოუდის მდინარე ქარიბულა. სოფლის დასავლეთით, ღიღი
ლიახვისავენ, არის მისი ძველი, ისტორიული დაგილი, რომელ-
საც ნაჭირმაგევი ეწოდება.

ეხეუშტის სიტყვეით, „ნაჭირმაგევი იყო საღვერი მეფეთა
და კეთილსანაღირო, და აწ კარალეთად წოდებული, აღვილი

ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნაღირიანი, ფრინველიანი (და 75). დღეს მას ძველებური არც სახელი შეჩენია და არც პრეცების სიტურუე-სილამაზე. სახელწოდება ნაჭარმავრებრივის დატვევით თამარის ცხენის — ნაჭარმავრისაგან ჭურჩმაგი, ყუკის თეთრი, თეთრონი), რომლითაც თურმე იყო ნაჭარმავრებში დადოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში ნაჭარმავრე Ⅹ—XII საუკუნეებში ცნობილია, როგორც საქართველოს მეფების სახაფხულო რეზიდენცია და, ამისთანავე, სანაღირო დღვილიც, დღეს ამის მოწმე არავითარი ძეგლი არ შემონახულია. მხოლოდ ერთი უმნიშვნელო ეკლესის ნანგრევია დარჩენილი. ისიც აღსანიშნია, რომ არც იმდროინდელ მემატიანებს აქეთ მოხსენებული თუ იღწერილი ნაჭარმავრები არსებული მეფეთა სასახლე, ციხე-გალავანი თუ სხვა რიცხვები სადგომები.

ამავე დროს იმავე საისტორიო წყაროებიდან ვიცით, რომ ნაჭარმავრების სასახლეში ეწყობოდა დიდი დარბაზობები და სახეიმო შეხვედრები. უკველია, აქ უნდა ყოფილიყო მეფეთა დიდი სასახლე, ციხე-გალავანით, კარის ეკლესითა და სხვა სამეფო სათავსოები, რომელთა კვალი უამთა კათარებაში გამჯრილა. მემატიანის სიტყვით, დავით აღმაშენებელი სანაღიროდ ნაჭარმავრეს გადმოღილდა წალელიდან (იმერეთ-ქართლის საშლეარჩეა) და აქ ნაღირობდა ქართლის ჭალაზე, ნაჭარმავრეში, რომელიც ყოვლად საესე იყო ირმითო.

დავით აღმაშენებელი ნაჭარმავრევიდან ებრძოდა თურქებს; მემატიანის სიტყვით, როდესაც იყო იდგა ტაძრეულთა ნაჭარმავრეს და მას მოახსენეს თურქების შემოსევა თჩიალეთში,

მეტე ღამით წასულა ათას ხუთასი ქაცით და „იძლოა შეკრის მათით“.

გიორგი III და თამარის მეფობისას ნაჭარმავები მომდევნობის მოდი მნიშვნელოვანი სახელმწიფო საქმეები. როდენაც გიორგი III დემნის შეთქმულება დამარცხი, მეტე ნაჭარმავები გამართა დიდი დარბაზობა და სახეიმო კითხებისი თამარი დასვა თავის თანაშემწედ (თანამოსაყდრედ).

თამარის სამეფო მოღვაწეობაც ნაჭარმავევთან იყო დაკავშირებული: როდესაც თამარმა გიორგი ჩუსი და მისი მომარე დიდებულთა გვუფი დამარცხი, ისინი ეპილენი თამარს ნაჭარმავეში, შესოხვეს მის შებრალება და უკნებლობა. თამარმა გიორგი ჩუსი შეიწყალა და ისევ საბერძნეთში გაისტუმრა.

მემატიკის სიტყვათ, თამარი ნაჭარმავეში განაცემდა სამეფო საქმეებს, უმეტესად ეკლესია-მონასტრებისას, აյ დასნეულდა დედობრივი (ქალური) ავაღმყოფობით, წაიყვანეს ავარიათა ციხესა და იქ მიიცვალათ.

როგორც ვიცით, თამარის ცხედარი ჯერ მცხეთაში დასვენეს, შემდეგ წაასვენეს გელათში და იქ დასაფლავეს საგვარეულო სამარხში. თამარის შემდეგ რესულან დედოფალმა ნაჭარმავეს შეყარა გარი გალალეინშე გასაღაშერებლად: „შეკრბეს ნაჭარმავეს სიმრავლე ურიცხვ, და წარავლინა მეფებინ ხუარაზმელთა“.

მეცნიერად, ასეთი სიხელოები ისტორიის მქონე ნაჭარმავეს არ შერჩენია საკუთარი სახელის მღალადებელი არამცოც

ტეგლები, არამედ მისი სახელიც დავიწყების მისურმა 

ლა ჩატომიშვილი კარალეთად იწოდება?

ნაჭარმავევის სახელი მხოლოდ იმ ლექსს შეტანილი იყო

„როს ნაფარმავევს შეუენი
შეიღწიე პერად ღმესსნეს,
უიზილბაშ-ოსმალ-აზმინი
საშელეართო გარეთ გამესსნეს,
ხასართი თევზინი ბევრიზენი
იურთი წყალში შოაშესნეს, —
იმა საქმისა ხელმშენელსა
ამ შელაენი გრძსა დამესსნეს.

გორგ. შეჩრულიდან ერთ მდინარედ შეერთებული დიდი და პატარი ლიახვი ჩამოუდის გორჩს, საღაც მას უერთდება მდინარე შეჩრულაც და აქ კი ორივე მტკვარის შეერთვის. გორჩი მდინარეთი იმ ჯვარედინაშე მდებარეობს. სამხრეთ-აღმოსავლეთით მას ჩამოუდის დიდი მდინარე მტკვარი, ჩრდილოეთით კი — ლიახვი. ასეთმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა გორჩის სტრატეგიულ-ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა შიდა ქართლის ქალაქებს შორის. გორჩთან ინას-სკებოდა დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და სამხრეთიდან მომავალი გშები. შავი ზღვის სანაპიროებან აღმოსავლეთში მიმავალი გზა ლიხის ულელტესილით შიდა ქართლში გადმოდიოდა, შემდეგ მტკვარის ხეობით გორჩს ჩაუდიოდა აღმოსავლეთისაკენ. აღმოსავლეთით მომავალი გზა გორჩშე გაულით სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიღიოდა.

ჩრდილოეთით ლიახვის ხეობით გორჩიდან გზა გადიოდა

დვალეთსა და ოსეთში, აგრეთვე ცხინვალზე გაულით წონა ჰქონდა
ხათით საჩხერეში და ოში, ამის გამო გორი ისტორიული და
შიდა ქართლის ცენტრად ითვლებოდა. მიუხედავად ის პეტები; ი
სელსაურელი გეოგრაფიული მდებარეობისა, გორის პირ ჩიტებულია
ნება ქართულ საისტორიო წყაროებში XII საუკუნეებდე და
პირველად შემატიანე ვორს მხოლოდ მაშინ იხსენიებს, როდე-
საც იგი მოგვითხრობს ვორიგი ჩუბისა და მისი მომხრე დი-
დებულთა გაურის გამოლაშქრებაზე იმერეთიდან თამაზ შე-
ფის წინააღმდეგ; „ვარდამოვიდეს მთათა ლიხისათა: ამომ-
წყუედელნი და ამომწყებელნი ქართლისანი, მოყიდვს ნაკარ-
მაგევამდის და ვორამდის“ („ისტორიანი და ამავი შარავან-
დებთანი“). მაგრამ ეს იმის არ ნიშნავს, რომ ვორი მანამდის
არ არსებობდა. ვორი, როვორც არქეოლოგიური აღმოჩენე-
ბით დასტურდება, უძველეს დროიდან იყო დასახლებული,
დაწყებული ბრინჯაოს ეპოქიდან — ანტიკურ ხანასა და შემ
საუკუნეებში—მისი მოსახლეობა უწყვეტი იყო, თღონზე ამისი
დასამოწმებელი ისტორიული ხისიათის ძეგლებს ჩვენამდე არ
მოუწერეთ. ამ მხრივ ვორის აზემით დარიბად გამოიყურე-
ბა. მიუხედავად იმისა, რომ ვორი შიდა ქართლის ყველაზე
მოზიდული ქალაქი იყო, ამავე დროს სტრატეგიული მნიშ-
ვნელოები აღვილიც, აյ არ შემონახულა არც ერთი ძეგლი,
რომელიც ქალაქის სიძველეზე მეტყველობდეს, ან მის ხე-
როვნობიდან კულტურას; არც საისტორიო წყაროებში
მოიმვება ცნობები ვორში ისეთი ისტორიული ხისიათის ნა-
გებობათა არსებობის შესახებ.

ამის გამო ძნელია ვორის წარმოშობის დროის განსაზღვრა
და მისი ციხე-ქალაქის გარდაქმნის დადგენა. მით უმეტეს,

როგორც ეიცით, გორი იყო სამეფო და ომავე დარბაზის
ფეოდალის, მილახერის, სამოურავო ქალაქი და ოცე ერთი ას-
უზრუნვის, რომ გორში იყვნ მნიშვნელოვანი ხურობრივი კულტურუ-
ლი ძეგლი, როგორც მის ახერხებლნენ იმდროშნდებოდა შილი-
ლი სამღვდელოების წარმომადგენლები, ეკლესია-მონასტრების
მშენებლობაში.

ჩვენ აქ მოკლედ შეეხებით ქალაქ გორის წარმოშობისა და
მისი სამოურაოს საკითხს, იგრეთვე გორის ციხის მნიშვნელო-
ბას ქართლის სამეფოს თავდაცემის საქმეში. რაც შეეხება გო-
რისა და მისი ციხის წარმოშობის საკითხს, ამაზე არსებობს
საქმიო ლიტერატურა. ვამოთქმულია სხვადასხვა მოსახრება,
იგრეთვე მოცემულია გორის ციხეში ლეგენდები და ოქმუ-
ლებები¹.

გორის დაარსებაზე ჩვენში დღემდე ასეთი მოსახრება არ-
სებობს: როდესაც დავით აღმაშენებელმა სომხეთში გაი-
ლაშერა და მათი დედაქალაქი ანისი თერქებისაგან გაათვი-
სულია, იქიდან სომხები გორში გადმოისხლა და იგი ქალაქიდ
იქციათ. მაგრამ ქართულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია
ნათქვამი. დავით აღმაშენებლის ისტორიებსს, რომელიც კრი-
ლად მოგვითხრობს მის მოღვაწეობაზე, ღრმული იქნა და-
კითხის ლაშერობა ანისში და ამ ქალაქის გათავისუფლება თურ-

¹ ღ. ვერიტაშვილი ა., გორის ისტორიიდან, თბ., 1947 წ.; პ.
ბერიკაშვილი ა., გორი (ისტორიული ნაჩვევა) თბ., 1939 წ. და-
სკვამი რესულად და ქართულად); ი. ბერიკაშვილი ა., გორის ცი-
ხი, 1960; ი. ბერიკაშვილი, გორი, ცხინ. ჟელ-ინსტ. შრომები. III,
1957 წ., გვ. 230—242.

ქებისაგან. ვორის დაარსებისა და იქ სომების ჩამოხატულებით
კი არაფრთი აქვს ნათესავი.

უცხოურ წყაროებში მხოლოდ სომებთა ისტორიული მდგრადი მათე ურპაელს—აქვს მოთხრობილი დავითის ანძიშე გალაზ. ქრების შესხებ. იქ ნათესავია: „იგი (დავითი) აღმოჩნდა მიმდები და მოყვარე სომებთა ნათესავისა. მასთან შემოქმდა სომებთა მხედრობის გადარჩენილი ნაწილი და მან აღმენა სომებთა ქალაქი ქირთლში და უწოდა მას „ვორი“¹.

მათე ურპაელის იმ ცნობის უტყუარობა ქართულ ისტორიული ფუნდით დღემდე არ არის შემოწმებული: მნელი სამწმენო, რომ დავითის ისტორიონს ეს ამხავი არ სცოდნოდა და მეფის დეარტლის აღნიშვნისას ეს ფაქტიც არ მოესხენებინა; დაუკერძებელია ისიც, რომ ვახუშტი ბაგრატიონის, რომელსაც აღწერილი აქვს ვორი, არ სცოდნოდა მათე ურპაელის ცნობა ვორზე, მაგრამ იგი მას არ იმოწმებს და ვორის დაარსების შესახებ წერს: „არამედ არის უწყებული, ვისით აღმენდა პირველ“ (ვახუშტი, 73—74); ამასვე იმეორებს პლატონ იოსელიანიც.

ბერდ. ი. ვ. გ ა ვ ა ხ ი შ ე ი ლ ი კ ი ვ ა ვ რ ი თ ი ხ ს ე ნ ი ე ბ ს მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი ს ც ნ ი ს ა ვ რ ი ს დ ა დ ა ს ა ხ ე ბ ი ს თ ა მ ბ ა ზ ე . (ქარ. ერის ისტორია II, 1914 წ. გვ. 539).

პროფ. შ. მ ე ს ხ ი ლ ი უ კ მ ე ნ ტ ა რ თ დ ი მ ე ო რ ე ბ ს მ ა თ ე უ რ პ ა ე ლ ი ს ი ხ ს (იხ. მასი. Города феодальной Грузии, Тб. 1959 г. стр. 43).

¹ ლ ე მ ხ მ ე ლ ი ქ ს ე თ ბ ე ვ ი რ , სომებ-ქირთველთა ურთიერთობი. სიექსი, თბილისი, 1923 წ. გვ. 123.

სწორედ მათ ურბანის არამართებული გაფეხში შეტყოფა
ასეთი მცდარი მოსაზრების გამოიწვია.

ანგარიშგასაწევები ის ფაქტი, რომ მათ ურბანული კალაქს უწოდებს არა ვორის, არამედ აგრძელების არაც ნიშნავს მთავორიან აღვილს, ეს კი ვორის დავაუკეთებისთვის დამახასიათებელი არ არის. ასეთ ვორის შიდა ქართლში წარმოადგენს ახალგორი (ლენინგრადი), რომელიც მოქცეულია ქსნის ვიწრო ხეობაში და შემოზღუდულია მაღალი მთებით. ამიტომ უფრო დასაშვებია, რომ დავით აღმაშენებელმა ანისი-დან წამოყენილი სომეხი ვაჭრები და ხელოსნები ვორში კი არ დაასახლა, არამედ ქსნის ხეობის მაღალ მთიან ვორაზე, რომელსაც ახალგორი ეწოდა. ვინაიდან შიდა ქართლში არ-სებობდა ამ ღრის მეორე დასახლებული აღვილი — ფერი ვორიც. მით უშეტეს, ლენინგრადული სომების გაღმოცემით, ისინი ანისიდან გაღმოიესათლებია დავით აღმაშენებელს XII საუკუნეში. მათი შამა-პაპანი ხელოსნები და ვაჭრები ყოფილია.

ამისთან გაყავშიჩებით, შესაძლებელია, დაეით აღმაშე-ნებელმა ანისელ სომეხ-ხელოსანთა და ვაჭართა ერთი ნაწილი ვორშიც დაასახლა, რომ იყი სივაჭრო ქალაქიდ ცქცია. მთ უშეტეს ვორი მდებარეობდა სავაჭრო გზაზე, მას ჰქონდა ცი-ხე-ვალავენიც. რაც აუცილებელ პირობას წარმოადგენდა იმი-სათვის, რომ იყი ქალაქი ყოფილიყო. სწორედ ასეთი მოსაზ-რებით იყო ვამართლებული სომეხ ვაჭართა და ხელოსანთა გადმოსახლება ვორში და არა იმ გაგებით, რომ ვორი დაუსახ-ლებელი იყო და მეტემ ამ მიზნით გაღმოიყვანა ისინი.

ქართლში ვორის უკირავს ცენტრალური აღვილი, მისი მო-

ახლოება როგორც ითქვა, უწყვიტი იყო, მაგრამ კარავარი
ბი ძეელად ნაელებად მისღელენენ ვაჭრობა-ხელოსნობას, რომელი
ტესად ეწეოდნენ მიწათმოქმედებასა და მოლაშენის მიზანებისა
საქს კი ხელოსნები და ვაჭრები სკორდებოდა, რასაც მეტწილად
სომხები ეტანებოდნენ. მაგალითისათვის შეიძლება და-
ვასთელოთ ჩამდენიმე ფაქტი: თეძმის ხეობაში, ახალქალაქის
ტაძრის კედლის წარწერაში, როსტომ მეფე (XVII ს.) მოვაკი-
ოთხრობს, რომ „აღვაშენე თეძმის პირის ქალაქი და დავასახლე
სომები ვაქაზნოთ“.

ასევე მოიქცა ლევან დატიანიც (XVII ს.), მან ჩხარიდან
გაღმოყვანა სომების და ურიანი (ვაჭრები) ჩუხში და იყი
ქალაქიდ აქცია და სხვ.

საზოგადოდ ცნობილი ამბავია, რომ ბრძოლაში ვამირჩვე-
ბულ შხარებს ტყვედ მიყყავდა პირეელ რიგში ხელოსნები და
ვაჭრები, ზოგჯერ ადგილი ჰქონდა მათ შესყიდვასაც.

სწორედ ასეთი მოსაზრებით უნდა გვივით საქართველოს
ტკელ ქალაქებში, კერძოდ გორშიც, სომებთა გაღმოსახლება.

მომდევნო საუკუნეებში გორი, როგორც ხელშემწყო სა-
ვაჭრო სამიმოსელო გზებზე მდებარე ქალაქი, თანდათანობით
დაწინაურდა და XV საუკუნეში უკვე გორის მოურავებიც იხ-
სენიებიან.

ალექსანდრე მეფის სიგელში, რომელიც 1426 წლით არის
დათარიღებული, ამ თანამდებობაზე ჩანს ავთანდილ ზედგენი-
ძე, რომელსაც მეფე უმტკიცებს სამემკვიდრეოდ გორის მოუ-
რავობას (საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 8).

გორის მოურავობის მიღების შემდეგ ეს გვარი კადევ უფ-
რო დაწინაურდა და გორგი VIII 1465 წელს თავდადებისა-
7. სერგი შეკალათია

თვის ითათაშის მემკვიდრეს ამილახერობაც უბოძა (ვ. გვ. 17-19).
ხაშვილი, ქართვ. ერის ისტ. წ. III. თბ., 1948 წ., გვ. 17-19).

ეს მაღალი თანამდებობა — ამილახერობა — ეს კონტაქტის
ბით ითათამ ზედგენის შთამომავლობის გენერაციული და
ამიერილან გორის მოურავები იწოდებოდნენ ამილახერებად.

ამასთანავე ქართლის სამეფოში ამილახერებს გორის მოუ-
რავობასთან ერთად სხვა თანამდებობაც ექიმიათ: სპასმეტობა,
მეფინიბერეთუხუცესობა, ყორიჩიბაშობა და სხვ. მაგრამ ამ თა-
ნამდებობათა შორის ამილახერები ცდილობდნენ მემკვიდრეო-
ბით შეენარჩუნებინათ გორის მოურავობა და ამ მიზნით ერთ-
გულ სამსახურს უწევდნენ ქართლის მეფეებს და ეს თანამდე-
ბობაც ბოლომდე — ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთებამ-
დე — შეინარჩუნეს (თუმცა იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა
მათ გორის მოურავობა დაკარგეს).

გორის საქალაქო წყობილებაში მოურავი საკმაოდ მნიშ-
ვნელოვანი და გავლენიანი ხელისუფალი იყო, მას ქალაქის
მოურავად მეფე ამტურებდა, სათანადო სიგელის ბოძებით.
მას თავისი სარგოს წიგნი ქვინდა, რომელშიც აღნუსული
იყო მისი უფლება-მოვალეობანი. პირები რიგში მას ევალე-
ბოდა მოქალაქეებისათვის სამართლის მიცემა. „ქალაქის მოუ-
რავი ქალაქში უნდა სამართლობდეს და სამ-ოთხი საჩქმეულ
მოქალაქე თან უნდა ახლდეს სამართლის ბჭობ. ში“ (საქ. სიც.,
II, გვ. 523).

ქალაქში შემოსული უცხო პირი პირებელად მოურავს უნ-
და ხლებოდა. გორის მოურავს ევალებოდა თვალყურის დევ-
ნება ქალაქის შემოსავლისათვისაც.

გორში შემოხილულ საქონელზე იყო აწესებდა ნიხრი და

შეთვალყურეობდა ნიჩრის დაცვას. დარღვევის შემთხვევაში მოურავი აფარიშებდა დამნაშავეს, ჯარიმა კი მის, საქართველოს ლოდ მიგაიდა. გორის მოურავი ზრუნავდა ხელიუმისტონწერა სისტესტეზეც; მასევ ევალებოდა ქალაქში წესრიგის დაცვა, — ქურდებისა და ბოროტმოქშედო გაძევება; მას უფლება ჰქონდა მოქალაქეთა ნაყიდობისა და გაყრილობის საბუთების დაძირება და სხვ.

გორის მოურავის უფლებების შესახებ აქ მოვიყვანთ ოსტომ მეფის 1656 წელს, ანდევაფარ ამილახერამდე. გაცემული სიგელის ნაწყევეტს: „გიბოძეთ და დაგომტერცე მოურავობა გორისა და სამართალი მათი არა იყოთხოდეს უთქვენოდ, უარც ვის გასკრიდეს თქენლა შეუციხავად მამასახლისა და უარც ვის მამულს მისცემდეს, ვერცავის გამოართმევედეს. რაც სამოურაო წესი ყოფილიყოს, უკლებლად გვიბოძებია. აგრეთვე ზემო ქართლის თქვენის დროშის სარდლობა, ლაშქრობა, სამართალი“ და სხვ.

მოურავის განსაზღვრული გამავირი არ ეძლეოდა, — სარგოს იღებდა ქალაქის შემოსავლიდან.

გორის მოურავის შემოსავლის შესახებ საყურადღებო ცნობებია მოცემული ოთარ ამილახერის მოხსენებაში, რომელიც მას პავლე ციციანოვისთვის წარუდგენია 1803 წელს. ამ მოხსენებაში დაწვრილებით არის ჩამოთვლილი გორის მოურავის შემოსავლის წყაროები, საიდანც ამილახერი საქმიანდ დად თანხას იღებდა. ამაში შედიოდა ამილახერიობის, ე. ი. მეფის მემარჯვენე სარდლობის, შემოსავალიც და, ამგვარად, გორის მოურავს, ამილახერას, 5000 მანეთამდე ჰქონდა წლიური შემოსავალი, რაც იმდრიოინდელი ფრლის კურსის მიხედვით დად თანხას შეაღვენდა.

ასეთი ბარაქიანი შემოსავლის გამო ამილაზერებული არ
სომობდნენ გორის მოურავობას და ეს თანამდებურებული შეცემა
ლომდე შეინარჩუნეს. 

გორის მოურავები ცდილობდნენ თავიანთი შემოსავალი
გაედიდებინათ და ამ მიზნით ხელოვნურად ზრდიდნენ მას.
ასეთი გაღიავარებებული ექსპლოატაცია გორის მოსახლეობაში
უკმაყოფილებას იწვევდა და მათ არა ერთხელ მიუმართავთ
საჩივრით მეფისათვის.

ასეთი საჩივრი გორელებმა მიართვეს ერეკლე I (1688—
1703 წ.) მეფეს უურალება მოუქცევია მოურავის უსამართლო
მოქმედებისათვის, განუზრახეს ძველი განჩინება გაეუქმები-
ნა, „ახალი განჩინება“ მიუკია და ამით დროებით შეუზღუ-
დავს მოურავების თეოთნებობა (საქართ. ცენტრ. სისტ. არქი-
ვი, ფ. 227, № 758).

მაგრამ შემდეგ გორის მოურავებს ეს ახალი განჩინებაც
ვარგათოლებიათ და ისევ ხელი მიუყვიათ სიმოურავოს სარ-
გოს უმართებლო გადიდებას და მოქალაქეების ეკონომიკუ-
რად შეეიწროებისათვის. განსაკუთრებით XVIII საუკუნეში,
ერეკლე II მეფობისას. ამას მოწმობს გორის ქეთხევების
(ამორჩეული მოქალაქეების) საჩივრი მოურავ ოთარ ამილაზ-
ხერისადმი.

ეს დოკუმენტი შედგენილია 1795 წლამდე და საყურადლე-
ბო ცნობებს იძლევა XVIII საუკუნის მიწურულს გორის ეკო-
ნომიკურ მდგრამარეობაზე!

¹ გორის ქეთხევების საჩივრი ერეკლე II-ს (მისალება საქ. და კავ-
კი. თბ., 1955 წ., ნავკ. მე-2, გვ. 218).

მეცნის უურადღება, მოუქცევია გორელების საჩივარი და
1795 წ. ახალ მოურნავ თოთი ამილახვრისათვის ეტაზის ეტაზი
მტერულ განესაზღვრა თავისი უფლება-მოვალეობის შენაბეჭდი
გოს მიღების წესიც.

ახალი დებულების შედეგნაში მონაწილეობა მოუღია გო-
რის წარმომადგენლებს. დებულებაზე ერეკლე II წარწერია:
„ბატონო ამილახვარო, რაც გორელებს ამ აზრით ამილახვრის
საბაზო განწყესები თითოეულათ მოვხსენებიათ, მას უნდა და-
ფუძიდეთო“ (საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 227, საბ. № 758).

აქედან ჩანს, რომ ახალი დებულება ზღუდვები მოუწევის
უფლებებს სარგოს მიღებისას და აფართოებდა, გორის მოქა-
ლაქეთა (ცენტრულების) როლს სამოქალაქო მმართველო-
ბაში.

ერთი სიტყვით, გორელების საჩივარი მოძალაზე მოურა-
ვის წინააღმდეგ გამარჯვებით დამთავრებულა და მეცე იმუ-
ლებული იყო თავისი ძლიერი ფეოდალი, ამილახვარი, შეეზ-
ზლუდა, რათა იგი დამორჩილებოდა მოქალაქეთა მიერ შედგე-
ნილ „განჩირების წიგნს“.

გორის ციხე უნდა ჩაითვალოს ერთადერთ ძეგ-
ლად, რომელიც დღემდე შემონახულია გორის ტერიტო-
რიაზე.

ამ ციხემ გიგანტური როლი ითამაშია ქართლის სამეცნის თავდაც-
ვის საქმეში: იგი თავისი მდებარეობით დაჩამობდა და იცავ-
და მტკვრის ხეობას ლიახვის შესართავთან, სადაც შიდა
ქართლში შემავალი ყველა გზა იყვანდებოდა. ლიახვისა და
მტკვრის ხეობით შემოსეირლ მტერს აქ უხდებოდა გადამწყვე-
რი ბრძოლებს წარმოება, — გორის ციხის აღების შემდეგ

მტრისათვის გზა გახსნილი იყო თბილისისაკენ. ამასთმა რის ციხის გამავრებასა და თავდაცვითს უნარითიბას მცენა თავინე დიდი სამხედრო მნიშვნელობა ენიჭებოდა 1558-ის თავისა და გამასაუთხებით დიდი როლი ითამაშა საქართველოს მცენა ბეჭობის ხანაში, XVI—XVII საუკენებში, როდესაც საქართველოს სამეფოს დასაბურობად ორი დიდი ივრესორი — იანი და თერეთი იმპოდი; მათი ბრძოლის ასპარეზი სწორედ კორის ციხე და მისი მიღამო იყო.

ამ სამეცნიერო-სასიცოცხლო შერკინებისას დიდი გმირობა და თავდადება გამოიჩინეს ქართლის მეფე ლუარსაბმა და მისმა მემკეობრემ სკომონმა, რომლებიც ბრძოლაში დაიცნენ. როდესაც ქართლის მეფე ლუარსაბ I (1584—1588 წ.) შეპატარებან ბრძოლაში დამატებდა, იძულებული იყო თბილისი დაეტოვებინა და განიზნულიყო კორი, რომელიც მისი მთავარი რეზიდენციად იქცა, გამავრის კორის ციხე და ქედან ეწეოდა „პარტიზანულ“ ბრძოლებს თბილისის გასათვაისუფლებლად იჩანელებისაგან; შემატიანის სიტყვით, „მისათვის შე-თამაზ ყავნიან ხუთვერ ამაზედ ილაშქრა და არას საქმით ვერც მოაშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიჭირა და ვერც შეიხვეწია“.

1558 წელს ივი გმირულად დაეცა შეერჯისანთან ბრძოლაში გორისის ველზე. ასეთსავე ბრძოლას აწირმოებდა კორის ციხის თსმალთავან დასახსნელად სკომონი, რომელმაც 1598 წელს განიზრისა კორის ციხის ხელში ჩაგდება. 1599 წელს მან შეძლო ამ ციხის აღება. ამან მძიმე შთაბეჭდის და მოხდინა თსმალებზე და გაფარ-ფაშის მეთაურობით გამოგზავნეს ჯარი, შერკინება მოხდა ხახიდურთან, სადაც გმირული ბრძოლის შემდეგ მეფე ტუვად ჩაუვარდა თსმალებს 1601 წ. და ტუვა-

ჰაშვე გარდაიცვალა. ერთი სიტყვით, გორის გარშემო გარდაიცვალა ბრძოლა, თბილისის გასათავისუფლებლად ამ პეტრები ში ისმალების გამარჯვებით დაშორდა, — გორი კი მარჯვების გარდა ჩელში ჩივდეს. ეს კი ნიშნავდა ქართლში ისმალების ბატონობის გაძლიერებას, ამიტომ შეპაპის I რამდენწერმე გამოილაშე ქართლში და 1633 წელს გორი და მისი ციხე აღა სპარსელებმა დაიკავეს. შეპაპის გორგად იცოდა ქართლისათვის დაუფლების საქმეში რა დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა გორის ციხის გამავრება-აღდგენის და მის მიერ ქართლის მეფის დასმულ ბატონიშვილს, როსტომს, მიანდო გორის ციხის აღდგენა-განახლება. როსტომმა ეს ზავალება შეასრულა, — გორის ციხე საცურმელიანად შეკავეთეს და გამავრეს. როსტომის მიერ განახლებულ გორის ციხეს დღემდე შემორჩია იმდროინდელი ჩეკონსტრუქციის დამახსიათებელი ნიშნები.

გორის გარშემო ბრძოლები გრძელდებოდა XVIII საუკუნეშიც, როდესაც „ოსმალობა“ შეცვალა არა ნაცელებ მძიმე „ყიშილბაშობაში“. ამ დროს გვიც ამილახვრის მეთავრობით დაწყო ქართლის მოსახლეობის აფანებები ნავირშეპის სასტიკი სავარაუბოდო ბევრის წინააღმდეგ, ვვიც ამილახვრი და მისი ჭრიული ამ პეტროდში იძულებული იყვნენ, ძალა განწყობილების მიხედვით, ხან ისმალის მიმხრობოდნენ, ხან — ირანს. ამის გამო ქართლის მოსახლეობის დიდი გასაჭირი აღვა, განსაკუთრებით გორისა და მის ციხეს, სადაც უმთავრესად ეს ბრძოლები წარმოებდა 1747 წლამდე. ამას მოძყვა იჩინისა და თერქეთის წაქეზებით ლექების თარეში ქართლში. შეიარაღებული ლექების რაზმები თავს ესხმოდნენ შიდა ქარ-

თლის მოსახლეობის, ძარცვავდნენ და ანაღგურებდნენ და
ლებს, მოსახლეობის იტაცებდნენ და ტყვედ მიძყავდათ, ლი-
თა ბრძოები განსაკუთრებით გორისა და ლიახვის მიწისძლის უკა-
ტვოდნენ. ამის გამო ლევანიშვილის წინააღმდეგ მწუქა სუსტები
ზი 11 და ერეკლე 11 გადამწყვეტ ზომებს იღებდნენ: გზავნილ-
ნენ მოლაშქრებს, რაზმავდნენ აფვილობრივ მოსახლეობის,
ხეობებს ამაგრებდნენ ციხე-გალვნით; გზებზე, საღაც ხალხი
თავს აფარებდა, აღმართოდა იყო საყირაულო კოშკები და სხვ.
ერეკლე მეფე განსაკუთრებით ზრუნავდა გორის ციხის გამავ-
რებისათვის, რომელსაც ლევები ლაშქრავდნენ.

1773 წელს ერეკლეს ბრძანებით დაიწყო გორის ციხის შე-
კრება-გამავრება: ციხის გალვნი შეაეთეს, ზედ ჯიხურები
გამართეს, შემოვედეს ქონგურებისი მაღალი კედელი, შიგ
მოლაშქრები ჩაიყენეს და სამედო თავშესაფარი გახდეს
ლევების თავდასხმისაგან. ლევების მოხსელოებისას ციხიდან
ნიშანს აძლევდნენ და გორის მოსახლეობა შიგ იხილნებოდა.
მრავალ ომგადახდილ გორის ციხეს, რომელიც მაღალი ბორ-
ცვალი იმავალაც ამაყად გადმოსყურებს მტკვრის და ლიახ-
ვის ხეობას, ვერც 1920 წლის ძლიერმა მიწისძერამ შეუწყია
შტოც საფუძველი, მხოლოდ ციხის კედლები და სათავსები
ნაწილობრივად ჩამოინგრა, რაც უკვე აღდგენილი და რესტავ-
რირებულია.

გორის ციხეს შემოჩენილი აქვს შესასვლელი ძველი კა-
რები, აგრეთვე ორმაგი გალვნი. საყურადღებოა მის დასავ-
ლეთის მხარეზე არსებული ეგრეთ წოდებული ცხრავი, საი-
დანაც ციხე წყლით მარაგდებოდა. ამის გარდა, ციხის შეუ-
ძლეანზე დაცულია ქვითკირის ხარო, საღაც მეციხოვნენი

ხორბალსა და სურსალის ინახევრზენ. მნახველს დღესაც არ გვთქვა
ამ დიდებული ციხის ნაგებობათა სიმტკიცი, მიწისჭევაში გვერდი
რაბები და წყალსაცევის ღობურები.

გორის ციხით მოხიბლულს აქევი წერეთელს შეტკიცს!

„მოგზაური ვერა შედია
გორის ციხეს მაღალ სერჩე,
პირ-ნახულს და გამოჩვენებულს
სუკრაველოვან ქართლის მტერჩე?

გორის ჯვარი. იყო გორის სამხრეთ-დასავლეთით მდე-
ბარეობს, მტკერის მარჯვენა ნაპირის, საქმოდ მაღალ გორია-
ზე, რომელიც გამაგრებული იყო ციხე-გალავნით, შიგ იღვა
პატარა ეკლესია, ჩვეულებრივი ჩივისა, რომელსაც გორისჭვა-
რი ეწოდებოდა. გორისჭვრის წმ.-გორიგის ეს ეკლესია და მი-
სი ციხე-გალავანი, რომელიც მტკერის გარშა, გორისციხის პი-
რისპირ იდგა, გამიზნეული იყო თავდაცეისათვის.

თუ გორის ციხე კარჩე მომღვარ მტკებელს იძიალით ებრძო-
ლა, გორისჭვარი წმ. გორიგის შესთხოვდა მტერჩე გამორჩვებას.

გორისჭვარი მტრისთვის ძნელმისადგომი იყო და შიშიანო-
ბის ღრმოს ეკლესიის მსახურნი და მლოცვენი აქ თავს აფა-
რებდა;

ეს მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი უღმობელმა სტა-
ქიამ — 1920 წლის მიწისძურამ — ნანგრევად აქცია და მას
ძეელი ნაგებობიდან დღეს არაფერი შეჩრდინა. მაგრამ წარ-
სულში გორისჭვრის წმ. გორიგი ითვლებოდა დღი სალოცა-
ვად გორისა და მის მიღამოში.

ვორისხერის სასწაულომოქმედ წმ. გორგის ეპისკოპოსი
აღმართებული განკურნებას მძიმე სენისავან (ბნელა, სულიო ზავა-
ჟება, დაყრიცება, დამუნჯება და სხვ.).

ჩეკულებრივ შლოცავებთან ერთად განკურნებას შეთხოვ-
დნენ მეფეებიც და ძეირთვის შესწირავებით მკობდნენ მას.
ამ მიზნით კახთა მეფე ალექსანდრე 11 (მას მეუღლედ ჰყავდა
ბარძიმ ამილახერის ასული, რომელსაც ვორისხერის ეკლესია
და მამული კუთხენოდა) შესწირა ვორისხერის კანკელის წინ
დასაღველი გვარი ვერქალით მოჭედილი. გვარში ვამოსახუ-
ლია წმ. ვორის წმინდისა და მოღვაწეობის სცენები, რომ-
ლის წარწერა სხვათა შორის, ასე იკითხება: „მოწამეო გიდო,
ღმობა ტანისა, და ძვალთა ჩემთა ბრძვილნი განმიერნე მე,
მეფესა ალექსანდრეს, რომელთა ვინებეთ ხატთა თქვენთა
მოქედვა“¹. ამისე აღნიშნავს ვახუშტი შტოც: „ვორის პირის-
პირ არს ეკლესია წმინდის ვორის, მაღალს ვორისა ზედა
ნაშენი, სასწაულომოქმედი. თვით წმინდის ვორის მდება-
რებს გვარსა შინა, უწოდებენ ვორივერის. არა იყო მუნ
წყალი, დედოფალმან რუსედამ მოიტანა მთიდამ“ (გვ. 57).

რუსეთი დედოფალი, როვორც ვიცით, ვახტანგ VI (1703—
1716 წ.) მეუღლეა და მის მიერ ამ წყლის ვამოყვანას იღა-
ტურებს ბურეთის მთიდან ჩამოტანილი ქვაფიქალი მხედრუ-
ლი წარწერით:

¹ ე. თავისი მემორა, ვორისხერის კანკელის წინ დასაღველი გვა-
რი, თბ., სახელშესავათ უნივერსიტეტის შორის, ტ. XXXIV, 1948 წ.,
23. 880—386.


„ვახტანგის მეუღლებან ჩერქეზ-ბატონის ასულობის დან
მოვიტანეთ წყარო ესე წმიდის გიორგის წინაშე პატიო-
ნისა ჩუენისა გამოსახსნელად, ცოდვათა ჩევნთა შესწორების შესაბამის და ძეთა ჩევნთა ბაქარისა და გიორგის აღსაზრდელად". ქრო-
ნიკონი უ(-1712 წ').

ამ წარწერიდან იჩვევეთ, რომ დეფოფალს, მიუხედავად დი-
დი საძნელებისა, 3—4 კილომეტრის მანძილზე გორისჯვრის
მაღალ მთაზე წყალი გაუყვანია თავისი მეუღლის — ვახტანგის
დასახსნელად, რომელიც იმ დროს (1712 წ.) ირანის შაიხის
კარზე პატიმრობაში იმყოფებოდა, ავრეთვე თავის შეიღების
აღსაზრდელად.

ვორისჯვრის ეკლესის ავებას ხალხური თქმულება თამარ
მეფეს მიაწერს, რომლის შესახებ არა ერთი ლეგენდა² არ
სებობს.

ვორისჯვრის გიორგობა სრულდებოდა 4-5 მაისს და მას
დიდიალი მღლიავი მოუდიოდა გორის რაიონის სოფლებიდან.
ვორისჯვრის მღლიავი დამისოფელი დგებოდა და ისრულებ-
და სხვადასხვა წესს, — გარშემო მუხლმოყრით უვლიდნენ, კი-
სერზე დაზიანებრ ჯაჭვს იდებდნენ, ხოსკო ეკლესის გარშე-
მო უვლიდნენ, მოსუავდათ მამლები და ხატის ხახელზე იქვე
აფრენდნენ.

ვისაც მეიოხევის მითოებით ვორისჯვრის წმ. გიორგის მი-

1 წარწერისი ქართველი ინახება ვორის ისტ.-ეთნოგ. მუზეუმში, ინ-
ცენტრის წევნი № 1964; ი. მეგრი ისტ. ე. ვორი, სტალინის პეტ-
ონტ. მრავალი 111, 1957 წ., გვ. 234.

2 ი. მეგრი ისტ. ე. ვორი, გვ. 241.

ზენი გამოუკიდოდა, ხატობას მოჰყავდა უოჩი ან შეარა კლავის
ვერი, რომელსაც იქვე კლავდინენ.

გორიგერმი ქადაგად დაცემაც იცოდნენ: იმრჩევეშეც ჭია
მოწყობილი ქადაგი მას ღამეს უჟევდა, დილას ჭიაშერის უკანას
სის სამჩერ შემოუელიდა და ზედ კარებთან დაცემოდა, თავს
მოიმკედარუნებდა; მას მღოცავი ეხვეოდა, თითოეული მათ-
ვანი ფეხს აღგამდა და ისე შედიოდა ეკლესიაში, როგორც
ცოდვებისაგან განწმენდილი.

ბოლოს დაცემული ქადაგი ცოტათი გაინძრეოდა, მოსუ-
ლიერდებოდა, ზენე ლეიბოდა და ქადაგების იწყებდა წმ. გო-
რჩების სახელით; მღოცავი მას სულგანაბული უსმენდა, და
კისაც ხატისაღმი დანაპირების შეცარულებაში ამხელდა, ივი
ცდილობდა იქვე მოერთმია წმ. გორჩებისათვის ზეარავი იქნე-
ბოდა, თე ფულადი შესაწირავი.

ხატობის დასასრულს იმართებოდა დიდი პურობა, ერთმა-
ნეთის დალოცვა და ცეკვა-თამაში.

კისაც გორიგერის წვერზე ასვლა ან შეეძლო, ისინი დაბ-
ლა დგებოდნენ, სადაც გორისგერის ნიში იდგა, იქ ლოცუ-
ლობდნენ, სუფრასაც იქვე შლილნენ და ლხინობდნენ.



ს ტ ე ტ ვ ი

ეპოქისაგან	:	3
მიმავალი ხორცის ისტორიულ-კონსულტაციი მიმოწერა	:	5
მარიამ და კარლის ძიღვები	:	20



რედაქტორი ირაკლი არაშვილი
მხატვარი ვლადიმერ ქუჩაშვილი
მხატვრელი ჩერექიძე რომან მახარაძე
ტექნიკური რედაქტორი ნინო აუხაზუა
კრექტორი ლაურა კალანდაძე
გამომუშვები დ. იამინიძე

გადაფერ წარმოდგენ 17/VIII-70 წ.
ხელმოწერილი დასტეკედაც 25/III-71 წ.
ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1/32}$
პირობითი ნაბეჭდი თაბახი $4,9 + 0,17$ ჩავრა.
საღარ.-საგანმც. თაბახი 3,81.

ფი 00258. ტირიფი 3.000. 7353. № 1244.
ფასი 16 კპ.

გამომუშველობა ასიმეთო საქართველო
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ მინისტრის საბჭოს ბეჭედეთი სიტუაციის სახელმწიფო
კომიტეტის მთავარმოსილი აუმრჩეველობის თბილისის სტამბ. № 4.

Тбилисская типография № 4 Главполиграфпрома Государственного
комитета Совета Министров Грузинской ССР по печати



Макалатиа Серги Иосифович
Лнахское ущелье

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелоз»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1970



91 (C41)

551 4+91] (47.922)

3 181

2-6-4
—
203 71

833/457

